დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049127

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯვრისხევი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მეჯვრისხევი მე-14 ქუჩა № 23
საფოსტო ინდექსი	1416
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	PataraMejvriskhevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595785028

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 14 მაისის N MES 1 26 0000574129 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18 და 19 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მეჯვრისხევი მე-14 ქუჩა № 23 1 (ერთი) შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მეჯვრისხევი მე-14 ქუჩა № 23 1 (ერთი) შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი მეჯვრისხევი მე-14 ქუჩა № 23 1 (ერთი) შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებას გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი, გამორჩეული და საუკეთესო პედაგოგიური თუ ორგანიზაციული პრაქტიკა, რაც უპირველეს ყოვლისა უკავშირდება მის სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას. სკოლა მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან ახლოს, რაც დაწესებულებას ანიჭებს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციო-კულტურულ მისიას - შეინარჩუნოს და გააძლიეროს ახალგაზრდა თაობის მდგრადობა და სამოქალაქო ცნობიერება კრიტიკულ რეგიონში.

სკოლის გამორჩეულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს თემზე დაფუძნებული აქტიური მოღვაწეობა და არაფორმალური განათლების მრავალფეროვნება. მიუხედავად გარე გამოწვევებისა, სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო და ფუნქციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პლატფორმები: მოსწავლეთა ინოვაციური პროექტები და კლუბები; სამოქალაქო და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა; ეროვნული და კულტურული იდენტობის გაძლიერება.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებები ადასტურებს, რომ ადგილობრივი თემისა და სკოლის უმთავრეს ინტერესს, მოთხოვნასა და საჭიროებას წარმოადგენს სკოლაში საშუალო საფეხურის პროგრამის დამატება, რომლის მისაღწევად სკოლის მენეჯმენტმა და სასკოლო საზოგადოებამ გასული პერიოდის განმავლობაში გასწია დიდი მოსამზადებელი სამუშაო. საშუალო საფეხურის ავტორიზაციის მოპოვებისათვის სკოლის მიერ გაწეული ეს კომპლექსური შრომა პირდაპირ პასუხობს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოზარდების უფლებას - მიიღონ ხარისხიანი, უწყვეტი, სრულფასოვანი და ინკლუზიური განათლება საკუთარ სოფელში, რაც ამ დაწესებულებას აქცევს არა მხოლოდ საგანმანათლებლო ერთეულად, არამედ რეგიონში სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სამოქალაქო მდგრადობის უმნიშვნელოვანეს საყრდენ ცენტრად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -------169-------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*1. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის აპრილისა;* *2. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის სრულყოფა, რაც მოიცავს სკოლის შიდა სივრცეების (პირველი და მეორე სართულის დერეფნებისა და შიდა კიბის უჯრედის) სრულ ვიდეომონიტორინგს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის ნოემბრისა.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგაზო და საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს საგაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის შეძენა/დამზადება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 ივლისისა, ხოლო ლაბორატორიისთვის გამწოვი კარადის (ან გამწოვი მოწყობილობის) შესყიდვა და დამონტაჟება - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, არაუგვიანეს 2027 წლის 1 მაისისა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*1. რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა;* *2. რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, საჭიროებიდან გამომდინარე, მეორე დარაჯის შტატის დამატების თაობაზე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართოს ოფიციალური წერილობითი ფორმით, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე.*
ინდიკატორი 3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს სრულყოფილი საბიბლიოთეკო წიგნების კატალოგი, ხოლო უშუალოდ სივრცეში წიგნების განთავსება და თაროებზე ორგანიზება მოახდინოს ანბანური ან თემატური დაყოფის პრინციპით.*
ინდიკატორი 3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის*	*რჩევა: საინფორმაციო გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაძლიერების, სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობისა და გარე საკომუნიკაციო არხების ეფექტურად მართვის მიზნით, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე/პორტალზე არაფორმალური განათლების მიმართულებით მოქმედი სასკოლო კლუბების შესახებ დეტალური ინფორმაციის (კლუბის დასახელება, მიზნები, ხელმძღვანელი, განრიგი და მიღწეული შედეგები) ასახვა;*

	სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სასურველია სკოლამ დამატებით განავითაროს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის შედეგების დოკუმენტირების პრაქტიკა (მაგ., კონსულტაციების აღრიცხვა, ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმები, პროგრესის მონიტორინგის ჩანაწერები), რაც ხელს შეუწყობს გაწეული მხარდაჭერის ეფექტიანობის უფრო მკაფიო შეფასებას.*
ინდიკატორი 4.2.1.6	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას*	*სასურველია უკუკავშირის შედეგების ანალიზისა და მათ საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების ღონისძიებების დოკუმენტირება უფრო სისტემური ფორმით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)*	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *უმჯობესია, კურიკულუმში იყოს მითითებული თემიდან გამომდინარე დამატებითი რესურსების შესაბამისი ბმულები („მოქალაქეობა“, მე-7, მე-9 კლასი). ბმულების უმეტესობა არ იხსნება, შესაბამისად იკარგება მისი მიზნობრიობაც („მე და საზოგადოება“ მე-4 კლასი, „გეოგრაფია“ მე-8, მე-9 კლასი, „მოქალაქეობა“, მე-8 კლასი), სასურველია კათედრაზე ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა.* ***სახელმწიფო ენა***

		სასურველია, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (დაწყებით საფეხურის V-VI კლასებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე) შენარჩუნდ ერთიანი ჩარჩო, რათა იყოს მეტად ორგანიზებული და სისტემური სახის. ***მათემატიკა*** *რეკომენდებულია სკოლამ შეინარჩუნოს დაწყებითი საფეხურ შემოქმედებითი დავალებების არსებული მრავალფეროვნება და მსგავ სიხშირით გაამდიდროს საბაზო (განსაკუთრებით IX) და საშუალო საფეხურ დავალებების ნუსხა.* ***სპორტი*** *სამომავლოდ სასურველი იქნება, რომ* ***საბაზო და საშუალო საფეხურებ*** *კურიკულუმებში, თეორიული მიმართულებით თემა, ოლიმპიზმის გარ იყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპებიდანაც.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ კათედრას ჰქონდ არჩეული თანამშრომლობითი კულტურით კურიკულუმის ფორმა. იყ თემების შესაბამისობა, საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია მასწავლებელმა ბუნებისმეტყველების საშუალო საფეხურზე მე- კლასის ქიმიის კურიკულუმში მოახდინოს სვეტების გადანაცვლ (ადგილები შეუცვალოს სამიზნეების და თემების სვეტების სათაურებს).* *სასურველია, დაწყებით საფეხურზე მესამე და მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელმა თემების შერჩევისას იხელმძღვანელოს ესგ -ის სტანდარტის სავალდებულო თემების ჩამონათვალიდან.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***

		გასათვალისწინებელია, რომ შემოქმედებითი დავალების იდეა იყოს კონკრეტული. („ჩვენი საქართველო“, V კლასი, „ისტორია“ მე-7, მე-9, მე-10 კლასი, „საქართველოს ისტორია“, მე-10 კლასი), უმჯობესია, დავალება უფრო კონკრეტულად ფორმულირდეს. მაგალითად, „საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა იმერეთის ღირსშესანიშნაობების შესახებ“. ***სახელმწიფო ენა*** ***საბაზო საფეხურზე*** *VII-VIII კლასების კურიკულუმის ჩარჩოების გრაფები სასურველია სათანადოდ იყოს შევსებული, კერძოდ, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ძირითადი ტექსტები და კონტექსტმაგალითები. ამასთანავე, საკითხი სათანადოდ იყოს ფორმულირებული. სრულყოფილად დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *ბუნებისმეტყველების საგნის მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმის შედგენისას, სასურველია, სრულად გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
ინდიკატორი 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასების, ქიმიის მე-8 კლასის, საშუალო საფეხურის ფიზიკის მე-11 და მე-12 საზოგადოებრივი მეცნიერებებიკლასების ფიზიკის კურიკულუმში იყოს დაგეგმილი უფრო მეტი ელექტრონული რესურსები, რათა სწავლა/სწავლების პროცესი განხორციელდეს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *უმჯობესია, მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში.*

		ძირითად სასწავლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოს პარაგრაფები, უმჯობესია გვერდების მითითებაც („მოქალაქეობა“ მე-10 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-10, მე-11, მე-12 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8, მე-10 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-10, მე-11 კლასი). *დამატებითი ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს მიზანშეწონილია, მიეთითოს შესაბამისი ბმული. (,,გეოგრაფია“, მე-8 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-9 კლასი). ინტერნეტრესურსების მითითების დროს გასათვალისწინებელია, რომ ეწეროს რესურსის სახელწოდება ან გაკეთდეს ჰიპერბმული, რათა უფრო მოსახერხებელი იყოს მასზე დაწკაპუნებით ბმულის გახსნა.* *როცა რესურსად გამოყენებულია ტელესკოლის გაკვეთილი, სასურველია მიეთითოს კონკრეტული გაკვეთილის ბმული და არა ზოგადად ტელესკოლის გვერდი (,,ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-8 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8 კლასი, ,,საქართველოს ისტორია“, მე-10 კლასი)* *შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს გარკვეულ პროდუქტზე მუშაობას, როგორიც არის სტატია, დღიური, მოხსენება, პრეზენტაცია, სლაიდშოუ, ვიდეორგოლი და ა. შ, მაგრამ უმეტესად არ არის მითითებული მეთოდური რესურსი, რომლის საშუალებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა. დამატებით რესურსებში სასურველია მიეთითოს ბმული, მაგალითად, როგორ შექმნას ბუკლეტი, როგორ დაწეროს არგუმენტირებული ესე და ა. შ. (,,მე და საზოგადოება“, მე-4 კლასი, ,,ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-7, მე-8 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასი, ,,საქართველოს ისტორია“, მე-10, მე-11 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-7, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასი).* ***ესთეტიკური აღზრდა*** *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა. სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე. სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების*

		გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე. სასურველია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა. სასურველია, შეძლებისდაგვარად მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში, ღია ცის ქვეშ - რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის. ***სახელმწიფო ენა*** *მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია განსაკუთრებით დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.* ***მათემატიკა*** *რეკომენდებულია საბაზო საფეხურის რესურსების სვეტი დაწყებითის ანალოგიურად დაიხვეწოს - სახელმძღვანელოს დასახელებას მიეთითოს კონკრეტული გვერდი/თავი და სადაც ციფრულ რესურსზეა საუბარი (GeoGebra, Desmos, ხანის აკადემია), დაერთოს კონკრეტული საკითხის შესაბამისი მდგრადი URL ან ვიდეო-გაკვეთილის სათაური. დაწყებითზე სასურველია მოკლე-ბმულები (clck.ru) ჩანაცვლდეს პირველწყაროს სრული მისამართებით, რათა დოკუმენტში ჩასმულმა ბმულებმა ხანგრძლივად იმუშაონ.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური***

		მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია დაწყებით საფეხურზე რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დროის დიფერენცირება.* ***მათემატიკა*** *სასურველია კურიკულუმის რესურსების სვეტში ან ცალკე სვეტში სიმბოლურად მაინც აისახოს, რომელი დავალება შეიძლება მოდიფიცირდეს სსსმ ან მაღალმოტივირებული მოსწავლისთვის - ეს დიფერენცირების ხედვას დოკუმენტში თვალსაჩინოს გახდის*
ინდიკატორი 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***სახელმწიფო ენა*** *შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზე, სასურველია გამოიკვეთოს მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები, უფრო მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.* ***მათემატიკა*** *რეკომენდებულია რუბრიკები თანდათან შეივსოს ისე, რომ დაიფაროს კურიკულუმში გაწერილი ყველა შემოქმედებითი დავალება;* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *კათედრას მიეცა რჩევა. მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.*

ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-4 კლასისბუნებისმეტყველების კურიკულუმში პედაგოგმა სასურველია გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს, რაც ხელს შეუწყობს ესგ -ის სტანდართით დაგეგმილი სასწავლო მიზნების შესრულებას და სასწავლო პროცესის საგნის სტანდარტის მიხედვით წარმართვას.* ***მათემატიკა*** ***საბაზო საშუალო საფეხურზე*** *სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია, გაითვალისწინონ ექსპერტის რჩევები და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია საბაზო საფეხურზე მეტი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა, სადაც პრაქტიკული ნაწილი არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს თეორიულ ცოდნასთან მიმართებაში.* ***მათემატიკა*** *სასურველია რუბრიკების სრული ნუსხის თანდათან დაკომპლექტება კურიკულუმის თითოეული შემოქმედებითი დავალების შესაბამისად.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.*

ინდიკატორი 2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *სასურველია ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასების, ქიმიის მე-8, ასევე ფიზიკის მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმში მასწავლებელმა უფრო მეტი ელექტრონული რესურსი გამოიყენოს, იმისთვის, რომ სკოლაში მატერიალური რესურსების (განსაკუთრებით ფიზიკაში) მცირე რაოდენობა სწავლების პროცესში ნაწილობრივ ჩაანაცვლოს ელექტრონულმა რესურსებმა, რაც განაპირობებს სწავლის ხარისხის ამაღლებას. მასწავლებელმა, შესაბამისად, ამ კურიკულუმებშიც გაწეროს ელექტრონული რესურსები. რესურსების მრავალფეროვნება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და ესგ-ის სტანდარტის შედეგებზე გასვლას შეუწყობს ხელს.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე. მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები (ხელოვნების საგნის სწავლებისათვის და აღჭურვოს არა მარტო ბიბლიოთეკა, არამედ იზრუნოს ხელოვნების ოთახის ლიტერატურით მომარაგებაზე), რათა მოსწავლეებმა პოლიგრაფიულად ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***სახელმწიფო ენა*** ***დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე*** *კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.*
ინდიკატორი 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა*** *რეკომენდებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში ან ცალკე მოკლე დოკუმენტში აღიწეროს, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა/ვალიდაცია ხდება კათედრაზე გუნდური განხილვის გზით.*
ინდიკატორი 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***

	მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სასურველია სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაამდიდროს მატერიალური რესურსებით, რადგან რესურსების მრავალფეროვნება ხელს შეუწყობს სწავლა/სწავლების პროცესის უკეთ წარმართვას* ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრზე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე.*
ინდიკატორი 2.3.2.3	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები*	*სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად განავითაროს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა, მათ შორის საგნობრივი შეფასებისა და უკუკავშირის თანამედროვე ფორმების დანერგვის მიმართულებით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კორესპონდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმაში ასახული ღონისძიებები. წარმოდგენილი არგუმენტაციისა და დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით, სტანდარტები შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი -შესაბამისად; მეორე სტანდარტი - მეტწილ შესაბამისად; მესამე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად; მეოთხე სტანდარტი - შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ოფიციალურად ინტეგრირებულია დაწესებულების 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.
მისიის ფორმულირება განსაზღვრავს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და სწავლა-სწავლების მრავალფეროვან, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ პოზიტიურ გარემოს; ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლიანი თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის. ეს ჩანაწერი პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნებს, რადგან თანაბარ აქცენტს აკეთებს როგორც ეროვნული იდენტობის, ისე ზოგადსაკაცობრიო და გლობალური უნარების მქონე მოქალაქის აღზრდაზე.
სკოლის ხედვა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, რომელიც მოერგება მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს, ჩამოუყალიბებს მას 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება პროფესიის სწორად არჩევაში, საკუთარი ქვეყნის ინტერესების განსაზღვრასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვაში.
წინამდებარე ჩანაწერები ასახავს სახელმწიფოს მიზანს - აღზარდოს დამოუკიდებელი, კრიტიკულად მოაზროვნე, მყარი ნებელობისა და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნება.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული მისიის ფორმულირება განსაზღვრავს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემასა და სწავლა-სწავლების მრავალფეროვან, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ

პოზიტიურ გარემოს; ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლიანი თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისთვის. აღნიშნული ჩანაწერი აყალიბებს სკოლის, როგორც უსაფრთხო და ორგანიზებული სივრცის ფუნქციას, სადაც ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება მიღწეულია პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნით.

სკოლის ხედვა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, რომელიც მოერგება მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს, ჩამოუყალიბებს მას 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება პროფესიის სწორად არჩევაში, საკუთარი ქვეყნის ინტერესების განსაზღვრასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვაში. სკოლის ფილოსოფია ითვალისწინებს მოსწავლის, როგორც დამოუკიდებელი და კრიტიკულად მოაზროვნე სუბიექტის პიროვნულ განვითარებას, ხელს უწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს გარემოს, სადაც საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე დაყრდნობით ყალიბდება ერთიანი სოციო-კულტურული სივრცე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ოფიციალურად ინტეგრირებულია დაწესებულების 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით; განხილულ და მოწონებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს, ოქმი N41; შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარისა და სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს). აღნიშნული დოკუმენტის პროექტის საბოლოო სახით შეჯერება განხორციელდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (2025 წლის 2 ივლისი, ოქმი N4).

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ იხელმძღვანელა „ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით“ (შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ მიერ, 2024 წელს), რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მუშაობის ეტაპებსა და ჩართულ მხარეებს. პროცესის საწყის ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (2025 წლის 29 აპრილი, ოქმი N1) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასკოლო საზოგადოების - მასწავლებლების, მშობლებისა და თემის აზრის კვლევის მიზნით მატერიალური კითხვარების შემუშავების შესახებ. აღნიშნული ანონიმური კითხვარი ოფიციალურად დამტკიცდა მომდევნო სხდომაზე (2025 წლის 20 მაისი, ოქმი N2). გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირისა და დაინტერესებული მხარეების (სასკოლო საზოგადოება/მშობლები/მოსწავლეები) მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა შეაჯერა და ჩამოაყალიბა

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო პროექტი. ჩართულობისა და კოლეგიურობის პრინციპის დაცვით, შემუშავებული ფილოსოფია განსახილველად და შესათანხმებლად წარედგინა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს - პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ოფიციალურად ინტეგრირებულია დაწესებულების 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით; განხილულ და მოწონებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს, ოქმი N41; შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარისა და სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს). აღნიშნული დოკუმენტის პროექტის საბოლოო სახით შეჯერება განხორციელდა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (2025 წლის 2 ივლისი, ოქმი N4).

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტთან დაკავშირებით განხორციელებული უკუკავშირის ანალიზი ცხადყოფს, რომ შემუშავებული საგანმანათლებლო ფილოსოფია სრულად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის მიხედვით, მას შემდეგ, რაც პროექტი გაეზიარათ დაინტერესებულ მხარეებს (სასკოლო საზოგადოებას, მშობლებსა და მოსწავლეებს), მათ ერთხმად გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება, ხოლო საჯარო განხილვებისა და უკუკავშირის ეტაპზე რაიმე სახის არსებითი შენიშვნა ან ალტერნატიული წინადადება არ გამოთქმულა. სკოლის ფილოსოფიის გაზიარებულობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მისი პრინციპები (სიღრმისეული სწავლება, პოზიტიური გარემო, ინკლუზიური განათლება) საფუძვლად დაედო ერთწლიან სამოქმედო გეგმას და აღიარებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების წევრების მიერ, რამაც უზრუნველყო დოკუმენტის ერთსულოვანი მხარდაჭერა და კოლეგიური შეთანხმება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სასკოლო სივრცეში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ეზოში სპეციალურად დამზადებულ ბანერზე, სკოლის აქტიურ სოციალურ გვერდსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლების პორტალზე სკოლის ოფიციალურ გვერდზე. აღნიშნული მექანიზმებით

უზრუნველყოფილია დოკუმენტების სრული და ღია ხელმისაწვდომობა როგორც სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები), ისე ნებისმიერი დაინტერესებული გარეშე პირისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა“, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოქმედი კანონმდებლობით, იგი როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო კონტროლით, დამოუკიდებლად ახორციელებს სტატუსის შესაბამის საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ფილოსოფიის-(მისიის,ხედვის,ღირებულებების)შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ოქმი N1“
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ოქმი N2“
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ოქმი N3“
- „სკოლის ფილოსოფიის სამუშაო-ჯგუფის-ოქმი-4“
- „ფილოსოფიის-შემუშავებისა-და-სტრატეგიული-დაგეგმვის-კითხვარი“
- „სსგ-2025-2026-კონცეპტუალური“ (სასკოლო სასწავლო გეგმა)
- „პედაგოგიური საბჭოს-ოქმიN-1 სტრატეგიული გეგმის განხილვა“
- „სამეურვეო-საბჭოს-ოქმი-N-2 სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“
- „ამონაწერი-საჯარო-რეესტრიდან“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ორგანიზებული წარმართვის მიზნით მოქმედებს ოფიციალური დოკუმენტი - „ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული წესი შემუშავებულია და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წელს. მეთოდოლოგია წარმოადგენს მმართველობით საფუძველს, რომელიც დეტალურად არეგულირებს გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული და მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების - ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობის ფორმებს და აყალიბებს მათი ინტერესებისა თუ პრიორიტეტების გათვალისწინების კონკრეტულ მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმვის პროცესში სასკოლო და არასასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების იდენტიფიცირება ხორციელდება სპეციალური გამოკითხვების (ანონიმური მატერიალური კითხვარების), SWOT ანალიზის, მიღებული უკუკავშირის სისტემური ანალიზისა და მიზნობრივი საჯარო განხილვების გზით, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების გეგმების სრულ შესაბამისობას თემისა და მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია შვიდწლიან პერიოდზე, კერძოდ 2025-2032 წლებისთვის, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებთან. აღნიშნული გეგმის პროექტი პირველადად ჩამოყალიბდა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (2025 წლის 2 ივლისი, ოქმი N4), შემდგომში განხილულ და შეთანხმებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ (2025 წლის 4 სექტემბერი, ოქმი N1) და საბოლოოდ დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ (2025 წლის 8 სექტემბერი, ოქმი N2).

დოკუმენტური მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. გეგმის პროექტი დაშენებულია ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაზე, როგორებიცაა: სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლება და მხარდაჭერის სერვისების განვითარება; სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტური უზრუნველყოფა; უსაფრთხო, ფიზიკური და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; ორგანიზაციული განვითარება და მმართველობითი პროცესი. თითოეული ეს მიმართულება მოიცავს სკოლის ფილოსოფიასთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან თავსებად კონკრეტულ გრძელვადიან მიზნებს.

სტრატეგიული მიზნების რეალიზებისათვის, გეგმაში გაწერილია შესაბამისი ამოცანები და განხორციელების რეალისტური ვადები. გეგმის ციკლურობა და მდგრადობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მისი ფორმირება დაეფუძნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებსა და სამუშაო ჯგუფის მიერ სიღრმისეულად მომზადებულ SWOT ანალიზს, სადაც მკაფიოდ იქნა გაანალიზებული შიდა ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე გარე შესაძლებლობები და საფრთხეები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთწლიან პერიოდზე, კერძოდ 2025-2026 სასწავლო წლისთვის, და წარმოადგენს დაწესებულების გრძელვადიანი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2032 წწ.) რეალიზაციის ძირითად ინსტრუმენტს. აღნიშნული სამოქმედო გეგმის პროექტი თავდაპირველად მომზადდა სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (2025 წლის 2 ივლისი, ოქმი N4), გაცნობილ იქნა პედაგოგიური საბჭოსთვის (2025 წლის 4 სექტემბერი, ოქმი N1) და საბოლოოდ დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (2025 წლის 8 სექტემბერი, ოქმი N2).

დოკუმენტური მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა აზუსტებს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს. გეგმა სტრუქტურულად ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ შიდა თვითშეფასებას, ჩატარებულ SWOT ანალიზსა და სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) გამოკითხვის შედეგებს, სადაც იდენტიფიცირებულია დაწესებულების შიდა პროცესები და მიმდინარე საჭიროებები. სამოქმედო გეგმაში ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის წინსვლაზე, მათ შორის სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება და უსაფრთხო, პოზიტიური, ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რაც სრულ თანხვედრაშია სკოლის გრძელვადიან პრიორიტეტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ანალიზით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმაში თითოეული სტრატეგიული მიზანი და ამოცანა დაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. გეგმაში მკაფიოდ არის გაწერილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები და იდენტიფიცირებულია ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები თუ პოზიციები (მაგალითად: სკოლის დირექცია, კათედრები და სხვა პასუხისმგებელი პირები). რესურსების კომპონენტში სკოლას განსაზღვრული აქვს აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც ემყარება რეალისტურ გათვლებს, ეყრდნობა დაწესებულების სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს და მიზნად ისახავს დასახული ამოცანების ეფექტურად მიღწევას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ ;

- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის კითხვარი“ ;
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ოქმი N3“ ;
- „სკოლის ფილოსოფიის სამუშაო-ჯგუფის-ოქმი-4“ ;
- „პედაგოგიური საბჭოს-ოქმიN-1 სტრატეგიული გეგმის განხილვა“ ;
- „სამეურვეო-საბჭოს-ოქმი-N-2 სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ;
- „სსიპ სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება“ ;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი „ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ მიერ, 2024 წელს) სრულყოფილად მოიცავს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-2, მე-11 და მე-12 მუხლები დეტალურად აწესრიგებს დაგეგმილი აქტივობების კონტროლის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემურ მექანიზმებს.
მეთოდოლოგია მკაფიოდ ადგენს მონიტორინგის პერიოდულობას, დოკუმენტირების წესს და განსაზღვრავს სპეციალურ სტატუსებს აქტივობების შესრულების ხარისხის მარკირებისთვის: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. წესის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია სკოლის სამეურვეო საბჭო. მექანიზმი ითვალისწინებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც, ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამეურვეო საბჭოს წარუდგენენ წერილობით ანგარიშებს. გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს, რომ ყოველი 3 წლის ბოლოს და სტრატეგიული გეგმის 7-წლიანი ციკლის დასრულებისას, სამეურვეო საბჭოს სხდომებზე ხდება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშების სიღრმისეული განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში, მისი ფუნქციონირების მიმდინარე პრაქტიკიდან გამომდინარე, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმდინარეობს სისტემურად, შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ანგარიშგებისა და უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც დასტურდება იმით, რომ ახალი ფილოსოფიის (მისიისა და ხედვის) შემუშავებამდე, სკოლამ პირველ რიგში უზრუნველყო გასულ პერიოდში დასახული მიზნებისა და მიმდინარე სამოქმედო აქტივობების შესრულების ხარისხის შესწავლა. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისტემის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას, რისთვისაც სკოლამ გამოიყენა ანონიმური მატერიალური კითხვარები და სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე მოახდინა არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, დაწესებულებას ამ ეტაპზე ფიზიკურად არ გააჩნია განხორციელებული მონიტორინგის ახალი ანგარიშები, რომელთა გასაჯაროებაც მოხდებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლის მხრიდან დოკუმენტურად დადასტურებულია სრული მზაობა და მკაფიო ხედვა გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლის მეთოდოლოგიისა და თვითშეფასების ანალიზით ვლინდება, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ყველა აქტივობისათვის იქნება ცნობილი და გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის. შემუშავებული საჯაროობის მექანიზმების თანახმად, აღნიშნული შედეგები გამოქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, მშობელთა კრებებზე და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლების პორტალზე სკოლის ოფიციალურ გვერდზე, რაც ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდის როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში ყოველწლიურად ოფიციალურად წარედგინება და განიხილება სკოლის მმართველ კოლეგიურ ორგანოში - სამეურვეო საბჭოში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას, სკოლას ახალი გრძელვადიანი გეგმების შესრულების საბოლოო წლიური ანგარიშები ჯერ არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, სკოლის მიერ განხორციელებული შიდა მონიტორინგის ქმედითი მაგალითია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისთვის სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ორგანიზებული სიტუაციური ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა და დამუშავდა ინფორმაცია დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. შეგროვებული ინფორმაციისა და შეფასების ანალიზი საფუძვლად დაედო ახალი გრძელვადიანი (2025-2032 წწ.) და მოკლევადიანი განვითარების გეგმების პროექტების განსაზღვრას, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგის მექანიზმები და დაგროვილი გამოცდილება რეალურად გამოიყენება დაწესებულების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სსიპ სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის კითხვარი“
- „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ოქმი N3“
- „სკოლის ფილოსოფიის სამუშაო-ჯგუფის-ოქმი-4“
- „პედაგოგიური საბჭოს-ოქმიN-1 სტრატეგიული გეგმის განხილვა“
- „სამეურვეო-საბჭოს-ოქმი-N-2 სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოწყობილია დაწესებულების მიზნებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. სკოლაში მოქმედებს ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტი - „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა“ (შემუშავებულია სკოლის დირექტორის მ/შ მიერ და დამტკიცებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, 2024 წლის 11 მარტის N2-27 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის მართვისა და ფუნქციონირების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს.

დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზითა და წარმოდგენილი „სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამის“ შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მკაფიოდ არის გამიჯნული და სტრუქტურირებული მართვის კოლეგიური და ინდივიდუალური ორგანოები, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, აგრეთვე ცალკეული პოზიციები. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თითოეული რგოლის უფლება-მოვალეობები, მათ შორის: სკოლის დირექციის (დირექტორი და დირექტორის მოადგილე), კოლეგიური ორგანოების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო), საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, აგრეთვე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, დამლაგებელი და დარაჯი) ფუნქციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პოზიციებს შორის ფუნქციების განაწილება ორიენტირებულია სასწავლო პროცესის შეუფერხებელ და ეფექტურ წარმართვაზე. უფლებამოსილებები განაწილებულია კოლეგიურ ორგანოებსა (სამეურვეო, პედაგოგიური და მრჩეველთა საბჭოები) და ფუნქციურ ერთეულებს (საგნობრივი კათედრები, დირექცია, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) შორის იმგვარად, რომ სრულად არის დაცული მართვის გუნდური და მონაწილეობითი პრინციპები. კათედრები და პედაგოგები უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი სწავლა-სწავლების ხარისხსა და კურიკულუმების განვითარებაზე, ხოლო ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მატერიალურ, ფინანსურ, სამედიცინო და უსაფრთხოების მხარდაჭერას. მოვალეობათა ასეთი გამიჯვნა გამორიცხავს ფუნქციურ დუბლირებას, ხელს უწყობს ეფექტურ კოორდინაციას და ქმნის ოპტიმალურ გარემოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით დასახული საგანმანათლებლო ამოცანების წარმატებით რეალიზებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზციული სტ.(ნაწილი 1)
- სკოლის ორგანიზაციული სტ. (ნაწილი 2)
- სკოლის-სტრუქტურა-ორგანიგრამა
- სკოლის-სტარატეგიული-გეგმა-2025-2032
- ერთწლიანი სამოქმედო-გეგმა-2025-26წ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის სისტემა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა (შრომის კოდექსი, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“) და სკოლის შიდა რეგულაციებს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ განსაზღვრავს კადრების შერჩევის, მიღების, ადაპტაციის, განვითარებისა და გათავისუფლების გამჭვირვალე პროცედურებს. დოკუმენტების ანალიზით იკვეთება, რომ სკოლა იცავს დადგენილ პირობებს: შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სადაც გათვალისწინებულია სამუშაო დროის, დასვენების, შვებულებისა და შრომის ანაზღაურების ნორმები; პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მართვის მექანიზმებს, მათ შორის წახალისების სისტემას, რომელიც ეფუძნება საქმიანობის შეფასებას; პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით (2025 წლის 12 სექტემბერი, ოქმი N3), რომელიც ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. დაწესებულებაში მოქმედებს„პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის უწყვეტობასა და კანონიერებას. კადრების მოზიდვისა და ვაკანსიის გამოცხადების პროცესი სკოლაში ხორციელდება „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით.
პრევენციული ნაწილი: სკოლას თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული აქვს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სამუშაო დრო, დასვენების პერიოდი და ანაზღაურების პირობები. პერსონალის სამუშაოზე გამოცხადება და სამუშაო დროის გამოყენება კონტროლდება ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალში ხელმოწერის მეშვეობით, რაც გამორიცხავს სამუშაო დისციპლინის დარღვევას და უზრუნველყოფს პერსონალის მობილიზებულობას. ჟურნალში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე კი ყოველი თვის ბოლოს მზადდება სახელფასო ანგარიში, რაც უზრუნველყოფს შრომის სამართლიან და კანონშესაბამის ანაზღაურებას. ამასთანავე, პრევენციულ მექანიზმად გამოიყენება თანამშრომელთა წახალისებისა და სტიმულირების სისტემა.
ინტერვენციული ნაწილი: მასწავლებლის მიერ სამუშაოს დროებით გაცდენის შემთხვევებისთვის (ავადმყოფობა, გადაუდებელი აუცილებლობა), სკოლის დოკუმენტაციაში გაწერილია დროებით არმყოფი პედაგოგის შემცვლელი პირის მიერ ჩანაცვლების მექანიზმი, რათა სკოლამ ოპერატიულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის აღდგენა და არ დაუშვას

საგაკვეთილო ცხრილის ჩავარდნა. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი და კოლეგიური ორგანო - დისციპლინური კომიტეტი, ახდენს ინტერვენციას ნებისმიერი სამსახურებრივი თუ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, რაც მიზნად ისახავს პროცესების მართვასა და დარღვევების აღმოფხვრას დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კადრების შერჩევისა და დასაქმების პროცედურები ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. დაწესებულებაში მოქმედი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ მკაფიოდ განსაზღვრავს ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში საჯარო სივრცეში განცხადების გამოქვეყნების წესს, რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობას. კადრების მოზიდვა ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე წყაროების (მათ შორის მასწავლებელთა ვაკანსიების ოფიციალური ვებ-გვერდის - teacherjobs.ge და სკოლის სოციალური ქსელის) გამოყენებით.
პოზიციის შესაბამისი კადრების დასაქმების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს დეტალური კონკურსის ეტაპები, რაც მოიცავს წარმოდგენილი დოკუმენტების პირველად გადარჩევასა და გასაუბრებას. შერჩევის პროცესის ობიექტურობის გარანტს წარმოადგენს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კომისია პასუხისმგებელია კონკურსის გამჭვირვალედ წარმართვაზე, გასაუბრების კითხვების წინასწარ მომზადებასა და სხდომის ოქმებისა თუ შემაჯამებელი დოკუმენტაციის წარმოებაზე.
კანდიდატთა შერჩევა ხდება წინასწარ დამტკიცებული იურიდიული და პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც გაწერილია „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქცია-მოვალეობებში“. დოკუმენტი ადგენს განათლების, მუშაობის გამოცდილებისა და კომპეტენციის მკაცრ სტანდარტებს თითოეული ადმინისტრაციული, აკადემიური თუ დამხმარე პოზიციისთვის. კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, შერჩეულ პირთან ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება. ამასთანავე, პოლიტიკა ითვალისწინებს ახალი კადრის პროფესიული უნარების პრაქტიკაში შემოწმების მიზნით გამოსაცდელი ვადის (3-დან 6 თვემდე) გამოყენების შესაძლებლობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის ორიენტაციას კვალიფიციური და პოზიციასთან რელევანტური პერსონალის შერჩევაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სკოლის თითოეული პერსონალის კვალიფიკაცია, მასწავლებლების შემთხვევაში - პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება მოხერხდა eSchool-ის ბაზაში ასახულ მონაცემებთან. ზოგადასაგანმანათლებლოს დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი არიან დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და შიდა საორგანიზაციო კულტურა ორიენტირებულია თანამშრომლობითი, გუნდური გარემოს ჩამოყალიბებაზე. დაწესებულებაში მოქმედი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ მკაფიოდ აცხადებს, რომ სკოლის დირექცია ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კავშირების განმტკიცებას, რისთვისაც მართვის სისტემაში დამკვიდრებულია გუნდურობისა და მონაწილეობის პრინციპები. პოლიტიკის მიხედვით, მონაწილეობის პრინციპი სავალდებულოა შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესშიც, რაც უზრუნველყოფს პერსონალის სრულ ჩართულობას.

მონაწილეობითი მმართველობის ქმედით იურიდიულ და პრაქტიკულ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოებისა და სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირება. სკოლის სტრუქტურაში მოქმედი პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები და ხარისხის მართვის ჯგუფები თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას, ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში, სიახლეების დანერგვასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში. შიდა კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია, რომ სკოლის პერსონალი ვალდებულია ერთმანეთთან ითანამშრომლოს გამჭვირვალობის, ღიაობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპით.

გუნდური მუშაობისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკული რეალიზება მკაფიოდ დასტურდება კათედრები სხდომის ოქმებით . მაგ., კათედრის წევრები ერთობლივად მსჯელობენ და ადგენენ მიმდინარე სემესტრის ურთიერთდასწრების გეგმა-განრიგს, რაც მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევების ერთობლივ იდენტიფიცირებას, კოლეგებს შორის უკუკავშირის გაზიარებას და პოზიტიური, თანამშრომლობითი კულტურის განმტკიცებას. აღნიშნული

მიდგომა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში გუნდური მუშაობა წარმოადგენს არა მხოლოდ დეკლარირებულ პრინციპს, არამედ ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ განსაზღვრავს წარმატებული გამოცდილების აღიარებას, როგორც პერსონალის შენარჩუნებისა და მათი სათანადო მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. ამ მიზნით, სკოლის შინაგანაწესითა და მართვის პოლიტიკით დანერგილია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რაც მოიცავს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის მადლობის გამოცხადებას, სიგელითა თუ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას და ფულად ჯილდოს. სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების რეალიზებას.

სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასკოლო საზოგადოებისათვის წარმატებების გაზიარებისა და აღიარების უამრავი მაგალითი გააჩნია, რასაც ახორციელებს როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ისე სოციალური სივრცის მეშვეობით. დაწესებულების მყარად დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება წლის საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა და სათანადო წახალისება, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარებისათვის.

წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისა და კოლეგებს შორის პროფესიული მხარდაჭერის იურიდიულ პლატფორმას წარმოადგენს საგნობრივი კათედრები და „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური-რესურსების-მართ.პოლიტ.და-პროცედურები
- პერსონალის-საკვალიფიკაციო-მოთხოვნები-და-ფუნქციები
- სამეურვეო-საბჭოს-ოქმი-N3-შინაგანაწესით

- ესთეტიკური-აღზრდის-კათედრის-ოქმი ურთიერთდასწრების-გეგმის-შემუშავებაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენა და შეფასება ხორციელდება შემუშავებული შიდა მექანიზმების საფუძველზე. სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“ მკაფიოდ განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და განვითარების ამოცანებს. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, პროფესიული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სკოლის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვები და სხვა სახის კვლევები, რაც უზრუნველყოფს საჭიროებათა იდენტიფიცირებას. ამასთანავე, საჭიროებების იდენტიფიცირების კონკრეტულ და მრავალფეროვან გზებს აძლიერებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესი“, რომელიც ითვალისწინებს თვითშეფასების კითხვარის, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტისა და პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებას.

საჭიროებათა დადგენისა და შეფასების პროცესში წამყვან როლს ასრულებენ სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: საგნობრივი კათედრები, დირექცია და სპეციალურად შექმნილი „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი“. მეთოდოლოგიის მიხედვით, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები და კლასის დამრიგებლები წელიწადში ერთხელ (ყოველი კალენდარული წლის ბოლოს) უზრუნველყოფენ მიმდინარე ან შესრულებული სამუშაოების შეფასებას ანგარიშის სახით და წარუდგენენ დირექტორის მოადგილეს, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი და ადმინისტრაცია - სკოლის დირექტორს. „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების“ დოკუმენტის თანახმად, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის უმთავრეს ფუნქციად განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა და მასწავლებლობის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა.

პრაქტიკულ დონეზე, შეფასებისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების ქმედით მექანიზმად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და ურთიერთდასწრება. სკოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით დირექტორის მოადგილეს პირდაპირ ევალება შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გაკვეთილებზე დასწრება, კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზის წარმოება და გამოვლენილი საჭიროებების შესწავლის საფუძველზე დირექტორისთვის ანგარიშის წარდგენა. კათედრის სხდომის ოქმების ანალიზი ადასტურებს, რომ კათედრებზე ურთიერთდასწრების გეგმა გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული აქტუალური გამოწვევების გამოსავლენად, პედაგოგთა შორის კოლეგიური უკუკავშირის გასაზიარებლად და შემდგომი პროფესიული ზრდის მიმართულებების დასასახად, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უწყვეტობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა და გადამზადება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული პრინციპებისა და გეგმების შესაბამისად. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“-ს მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს პროფესიული განვითარების სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია შიდა კვლევებისა და გამოკითხვების შედეგად გამოვლენილი რეალური საჭიროებები. აღნიშნული გეგმა ორიენტირებულია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ყველა დონეზე, ინდივიდუალური რეზულტატურობის გაზრდასა და სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტაზე. ამასთანავე, „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესი“ აკონკრეტებს, რომ საჭიროებათა იდენტიფიცირება სამუშაო პროცესში უნდა მოხდეს ისეთი გეგმური ინსტრუმენტებით, როგორიცაა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და თვითშეფასების კითხვარი.

დაგეგმილი განვითარების ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებული აქვს როგორც ადმინისტრაციას, ისე საგნობრივ კათედრებსა და ხარისხის მართვის ჯგუფს. პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პროფესიული განვითარების მიზნების მიღწევა ხორციელდება კონკრეტული აქტივობების გზით, როგორიცაა პერსონალისათვის მიზნობრივი ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, პრაქტიკა, კონფერენციების ორგანიზება და პარტნიორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების“ დოკუმენტის მიხედვით, დირექტორის მოადგილესა და საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეს პირდაპირ აქვთ დელეგირებული ფუნქცია, მოაწყონ პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობები, შეხვედრები თუ ტრენინგები და მოახდინონ მასწავლებელთა ინფორმირება ახალ მეთოდებსა თუ სიახლეებთან დაკავშირებით. რაც დასტურდება ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით - მაგ., სკოლის დირექციამ გამართა მასწავლებლის ახალი სქემის გაცნობის მიზნით პრეზენტაცია-დისკუსია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანალიზისთვის გადადგმული ქმედითი ნაბიჯები აჩვენებს, რომ ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, პრაქტიკულ დონეზე, უკვე ხორციელდება კათედრების შიდა აქტივობები, მათ შორის ურთიერთდასწრების გეგმა-განრიგი, რაც უზრუნველყოფს პედაგოგთა უწყვეტ მხარდაჭერასა და ტრენინგებზე მიღებული ცოდნის რეალურ საგაკვეთილო პროცესში დანერგვას. „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი“ თავისი ფუნქციონალური მოვალეობების ფარგლებში უზრუნველყოფს ამ პროცესის მუდმივ მონიტორინგს, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის შეფასებასა და სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის კარიერული ზრდისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა ორგანიზაციული პოლიტიკის ნაწილია. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“-ს მიხედვით, დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მოტივირების, მატერიალური და არამატერიალური სტიმულირების სისტემა, რაც მიმართულია კვალიფიციური კადრების შენარჩუნებასა და მათ პროფესიულ წინსვლაზე. დოკუმენტაციით იკვეთება, რომ კარიერულ განვითარებას ხელი ეწყობა პერსონალის ფუნქციების პერიოდული განახლებით, სამუშაო დატვირთვის მიზნობრივი ცვლილებით, ახალი მოვალეობების დაკისრებითა და სხვადასხვა სასკოლო პროექტებში ჩართვით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებელთა პროფესიული იერარქია (მაძიებელი, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელი), რაც ქმნის კარიერული ზრდის ღია და კანონშესაბამის სამართლებრივ საფუძველს. ამ იერარქიულ წინსვლას სამართლებრივად აძლიერებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები“, რომელიც ადგენს სპეციალური მასწავლებლისა და სხვა კადრების კვალიფიკაციის მკაცრ კრიტერიუმებს. პრაქტიკულ დონეზე, კარიერული წინსვლისა და ახალი პასუხისმგებლობების დელეგირების მექანიზმები ასახულია კოლეგიური ორგანოებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი“, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს იურიდიულ ფუნქციას წარმოადგენს ახალდამწყები მასწავლებლების პროფესიაში შესვლის მხარდაჭერა და ტუტორის/მენტორის ფუნქციების შეთავსების გზით პედაგოგთა შიდაკარიერული განვითარების ხელშეწყობა.

კარიერული ზრდის ხელშეწყობის პროცესს პრაქტიკულად აფართოებს „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესიც“, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოლოდინების დასახვას, სამუშაოს შესრულების გაზომვად კრიტერიუმებზე შეთანხმებასა და პერიოდულ პროფესიულ დიალოგს, რაც საფუძველს უყრის პერსონალის შემდგომ გეგმურ წინსვლასა და განვითარებას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებებითა და პრაქტიკული მიგნებების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის კარიერულ და პროფესიულ მხარდაჭერას. კერძოდ, დირექციის მიერ ორგანიზებულ იქნა სამუშაო შეხვედრები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემის გასაცნობად, აგრეთვე სისტემურად განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებისა და გზამკვლევის სიღრმისეული განხილვა. სკოლა ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას: სკოლის ბუღალტერმა ფინანსთა სამინისტროში გაიარა სპეციალური მიზნობრივი ტრენინგი -„ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები საჯარო სკოლებში“, ხოლო ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემთავსებელი გადამზადდა პროგრამით - „სკოლის მთავარი ბიბლიოთეკარი“. გარდა ამისა, ინკლუზიური განათლების მიმართულებით პედაგოგებისა და სპეციალური მასწავლებლების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, სკოლაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემაზე -„საჯარო დიალოგი ინკლუზიურ განათლებაზე“, რაც ადასტურებს დაწესებულების მზაობას შეუწყოს ხელი თანამშრომელთა უწყვეტ კარიერულ წინსვლას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ახლადდასაქმებული პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციული ინტეგრაციის პროცესი სისტემურად არის მოწესრიგებული. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები"-ს მიხედვით, დაწესებულება მიზანმიმართულად უწყობს ხელს ახალი თანამშრომლების სწრაფ ადაპტაციას, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად. ამ მიმართულებით დაწესებულების უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესი", რომელიც 16-პუნქტიანი თანმიმდევრული აქტივობით დეტალურად არეგულირებს ახალი კადრის ინტეგრაციის პროცესს სამუშაოს დაწყებამდე, პირველ სამუშაო დღეს და უშუალოდ სამუშაო პროცესში.

სამართლებრივ და პროცედურულ დონეზე, ახალი თანამშრომლის სამსახურში აყვანის შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს მისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და შინაგანაწესის სავალდებულო გაცნობას. ამასთანავე, ინტეგრაციის პროცესი მოიცავს პირის დეტალურ ინფორმირებას სამუშაო სპეციფიკის, საქმის მასალების, ფიზიკური, პროფესიული თუ ინფორმაციული უსაფრთხოების წესების, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ. აღნიშნული მიდგომა პრაქტიკაში ძლიერდება „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესით", რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოს გაფორმებას მისასალმებელი სიტყვებით, მის დამატებას დახურულ საკომუნიკაციო ჯგუფებში, ორგანიზაციული რიტუალების გაცნობას და არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას.

პერსონალის ეფექტური ინტეგრაციის მიზნით, დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების" დოკუმენტში, სკოლის დირექტორის მოადგილის ფუნქციებში პირდაპირ არის გაწერილი ახლად დასაქმებული პირის ორგანიზაციული მხარდაჭერა და მისი სასკოლო გარემოსთან შეგუების ხელშეწყობა. კარიერული და პროფესიული ინტეგრაციის მიზნით, სკოლაში მოქმედებს „ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი", რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, წარმოადგენს ახალდამწყებ მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და ადაპტაციის პრაქტიკული მხარდაჭერა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის პროფესიულ ზრდასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა და სტიმულირება სკოლის

საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“-ს მიხედვით, პერსონალის მოტივირება მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რაც პირდაპირ არის მიმართული შრომის შედეგებში დასაქმებულთა დაინტერესებულობის ამაღლებისაკენ. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, დაწესებულება იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის: მადლობის გამოცხადებას, სიგელითა თუ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას, ფულად ჯილდოს და პერსონალის ექსკურსიების ორგანიზება/დაფინანსებას.

ინიციატივების წახალისების პროცედურული მექანიზმი ითვალისწინებს მართვის სხვადასხვა რგოლის აქტიურ ჩართულობას. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, დირექტორის მოადგილეს, შესაბამის საგნობრივ კათედრას, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს აქვთ იურიდიული უფლებამოსილება, წერილობით მიმართონ სკოლის დირექტორს დასაქმებულთა წახალისების თხოვნით, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა შიდა ინიციატივების ზემდგომ დონეზე გაჟღერებას. „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების“ დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც აქვს უფლებამოსილება, შუამდგომლობა აღძრას დირექტორთან გამორჩეული მასწავლებლებისა თუ თანამშრომლების წახალისების საკითხზე, რაც კიდევ უფრო ზრდის ინიციატივების მრავალმხრივ მხარდაჭერას.

ამასთანავე, პერსონალის განვითარებაზე მიმართული ინიციატივების წახალისება სისტემურად არის ინტეგრირებული „პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების წესში“. აღნიშნული წესი პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციასა და შეფასების ჯგუფებს, სამუშაო პროცესში მუდმივად აწარმოონ ახალ თანამშრომლებთან პერიოდული პროფესიული დიალოგი, უზრუნველყონ მათი ჩართულობა არაფორმალურ აქტივობებში და განახორციელონ ხშირი ორმხრივი უკუკავშირი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინოვაციური პედაგოგიური იდეებისა და განვითარებაზე ორიენტირებული შიდა ინიციატივების სტიმულირებისათვის.

პრაქტიკულ დონეზე, განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა რეალიზებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ წამოჭრილი იდეების ხელშეწყობით, რაც მკაფიოდ გამოიკვეთა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში. კერძოდ, მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან გამოთქმული იქნა ინიციატივა სკოლის რადიოს შექმნასთან დაკავშირებით, რაც ადმინისტრაციის მიერ სრულად დაკმაყოფილდა; ამჟამად სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს რადიო, სადაც მოსწავლეები ყოველდღიურ რეჟიმში თავად ითავსებენ რადიოჟურნალისტების, წამყვანების როლს და ამზადებენ მინი-გადაცემებს, რაც ხელს უწყობს მათი ახალი პროფესიული და ფუნქციური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, პედაგოგიური საბჭოს ოქმების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა

აღიარების დემოკრატიული და გამჭვირვალე სისტემა: წლის დასაწყისში კოლეგიურად მტკიცდება წლის საუკეთესო მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს თავად პედაგოგების მიერ ხდება კოლეგების ნომინირება, წარდგენა და ღია არჩევა, რაც უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობების სისტემურ სტიმულირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის-საკვალიფიკაციო-მოთხოვნები-და-ფუნქციები
- პერსონალის-სოციალიზაციის-პროცედურების-წესის-დამტკიცების-შესახებ
- ადამიანური-რესურსების-მართ.პოლიტ.და-პროცედურები
- სამეურვეო-საბჭოს-ოქმი-N3-შინაგანაწესით
- ერთწლიანი სამოქმედო-გეგმა-2025-26წ.
- ესთეტიკური-აღზრდის-კათედრის-ოქმი ურთიერთდასწრების-გეგმის-შემუშავებაზე
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა სისტემურ ხასიათს ატარებს და ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პოლიტიკას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესი“ სამართლებრივად აწესრიგებს სწავლა-სწავლებისა და მმართველობითი პროცესების შეფასებას, რაც მიმართულია დაწესებულების მდგრადი განვითარებისკენ. ხარისხის მართვის ეს სისტემა ეყრდნობა პროცესულ მიდგომასა და მუდმივი გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს - „მოტივირება, დაგეგმვა, მონიტორინგი, გაუმჯობესება და შეფასება“, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების ეფექტურ რეალიზებას.

ორგანიზაციულ დონეზე, ხარისხის მართვის პროცედურები ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების ერთობლიობით, სადაც წამყვანი როლი აკისრია სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფსა და მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის მართვის ჯგუფს. „შიდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა (2026-2027 სასწავლო წელი)“ ადასტურებს, რომ სკოლაში წინასწარ არის გაწერილი ხარისხის მონიტორინგის დეტალური გრაფიკი და ინსტრუმენტები. აღნიშნული გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესის, შეფასების ვერიფიკაციის, პერსონალის მართვის, ფინანსური დაგეგმვისა და მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების კომპლექსურ შეფასებას ინტერვიუების, დოკუმენტაციის შესწავლისა და კითხვარების მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის რეალური მუშაობა პრაქტიკაში დასტურდება სასკოლო კურიკულუმისა და პერსონალის შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით. მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხდება ოთხმხრივი ფორმატით (თვითშეფასება, მოსწავლის, კოლეგის და დირექციის მხრიდან), ხოლო დაბალი სამიზნე ნიშნულის გამოვლენის შემთხვევაში, ციკლის ლოგიკით, მყისიერად იგეგმება პედაგოგის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური აქტივობები. ანალოგიურად, სასკოლო-სასწავლო გეგმის როგორც პირდაპირი (სწავლის შედეგების საშუალო არითმეტიკული ქულების ანალიზი), ისე არაპირდაპირი შეფასების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) საფუძველზე, სკოლა ახდენს სუსტი

მხარეების იდენტიფიცირებას და პედაგოგიურ საბჭოზე რეაგირების გზების (მეთოდების, რესურსების შეცვლა) დასახვას, რაც სრულად პასუხობს ხარისხის განვითარების უწყვეტ ციკლს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ნორმატიული ბაზით სრულად არის იდენტიფიცირებული და დოკუმენტურად აღწერილი სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესი:

მმართველობითი პროცესები: მოიცავს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლს, ბიუჯეტირებას, ორგანიზაციული ეფექტიანობისა და მართვის ხარისხის უწყვეტ შეფასებას, რომელსაც სისტემურად ახორციელებს შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი.

ძირითადი (საგანმანათლებლო) პროცესები: დეტალურად აღწერს სასკოლო-სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავებას, დანერგვასა და მრავალმხრივ (პირდაპირ/არაპირდაპირ) შეფასებას, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების კვლევას, შეფასების ვერიფიკაციასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

დამხმარე პროცესები: აწესრიგებს პერსონალის შერჩევისა და სოციალიზაციის პროცედურებს, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების (ინტერნეტ-წვდომა, ელექტრონული ჟურნალი) მართვას, საქმისწარმოებას (დოკუმენტბრუნვას), მოსწავლეთა მხარდამჭერ სერვისებს (გარემოსთან ადაპტაცია, ოლიმპიადები, პროექტები) და პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს.

თითოეული პროცესისათვის „შიდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მოწესრიგებული სამართლებრივი სისტემა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“ დეტალურად განსაზღვრავს ადმინისტრაციული, დისციპლინური და აკადემიური (შეფასების) საჩივრების წარდგენის 30-დღიან ვადას, განხილვის პროცედურებსა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმებს. საჩივრებს იერარქიულად განიხილავენ სკოლის დირექტორი, დისციპილური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო ან სააპელაციო კომიტეტი, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგები საჩივრდება პედაგოგიური საბჭოს მიერ შექმნილ სპეციალურ სააპელაციო კომისიაში.

პრაქტიკულ დონეზე, საჩივრების პრევენციისა და პრობლემების არაფორმალური, პარტნიორული გზით მოგვარების მექანიზმები ასახულია სასკოლო ხელშეკრულებებსა და „დამრიგებლის მუშაობის დებულებაში“. მშობელი ვალდებულია ნებისმიერი გაუგებრობა პირველ რიგში არაფორმალურად გაარკვიოს კლასის დამრიგებელთან ან დირექციასთან. კლასის დამრიგებელს კი პირდაპირ ევალება მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია, სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულის დროული შეტყობინება და გამოვლენილი პრობლემების ერთობლივი გადაჭრა, რაც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც სამართლებრივად რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, „მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტით“, „პერსონალთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და ფუნქცია-მოვალეობებით“ (ბრძანება №2-16) და სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმით. აღნიშნული დოკუმენტები გარანტირებულად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრთა კონსტიტუციურ უფლებებს, გამოხატვის, რწმენისა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებს, ასევე პერსონალურ მონაცემთა და პირადი საიდუმლოების დაცვის მკაცრ კონფიდენციალურ სტანდარტს.

უფლებების დაცვის პრაქტიკულ გარანტიას წარმოადგენს საჩივრების ეფექტური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული, დისციპლინური და აკადემიური საჩივრების სამართლიან განხილვას დირექტორის, სამეურვეო საბჭოსა თუ სააპელაციო კომიტეტის მიერ, აგრეთვე პერსონალის შეფასების შედეგების გასაჩივრებას პედსაბჭოს მიერ შექმნილ სააპელაციო კომისიაში. ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობა და საზოგადოებისთვის გაცნობა დასტურდება მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, „მშობლის ჩართულობის წესით“ განსაზღვრული მართვის ჯგუფების მუშაობით,

დამრიგებლის დებულებით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიებითა და მუდმივი პარტნიორული უკუკავშირით, რაც საერთო ჯამში ქმნის სამართლებრივად დაცულ სასწავლო გარემოს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი
- შიდა ხარისხის მართვის სამოქმედო-გეგმა
- შიდა-საქმიანობის-ხარისხის-უზრუნველყოფის-წესი
- სკოლასა-და-მშობელს-შორის-დასადები-ხელშეკრულების ფორმა
- თვითმმართველობის-ოქმი-2-დებულებით
- სკოლის-ცხოვრებაში-მშობლის-ჩართულობის-წესი
- დამრიგებლის-დებულება
- პერსონალის-საკვალიფიკაციო-მოთხოვნები-და-ფუნქციები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების სისტემური მექანიზმები, რაც რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის წესით“, „მშობლის ჩართულობის წესითა“ და „დამრიგებლის დებულებით“. მართვის ხარისხის შესაფასებლად დაწესებულება პერმანენტულად ატარებს პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების კმაყოფილების კვლევებს კითხვარებისა და ინტერვიუების მეშვეობით. მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მიზნით,

მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ერთხელ ახორციელებს SWOT ანალიზს, გამოკვეთს სუსტ მხარეებს და რეკომენდაციებს რეაგირებისთვის გადასცემს დირექციას ან პედაგოგიურ საბჭოს.
საინფორმაციო დონეზე, სკოლის შინაგანაწესი, კურიკულუმი და საჩივრების პროცედურები საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლები მშობლებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას ელექტრონული ჟურნალის, კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. პრაქტიკული რეაგირების მექანიზმები მკაფიოდ არის გაწერილი: თუ მოსწავლეთა 25% ერთსა და იმავე საგნობრივ გამოწვევას ასახელებს, სკოლა ცვლის სწავლის მეთოდებსა თუ რესურსებს; მშობლების მხრიდან სერვისების ხარვეზების 15%-იანი იდენტიფიცირებისას მყისიერად ძლიერდება შესაბამისი სამსახური, ხოლო დამრიგებლის ინსტიტუტი უზრუნველყოფს მშობლის მიერ წამოჭრილი ნებისმიერი ყოველდღიური პრობლემის ერთობლივ და ოპერატიულ მოგვარებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში სისტემურად არის უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა მართვის კოლეგიალურ ორგანოებსა და სასკოლო ცხოვრებაში, რაც სამართლებრივად რეგულირდება შიდა დებულებებითა და სპეციალური წესებით. „ხარისხის უზრუნველყოფის წესი“ მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ მართვის პროცესები ეფუძნება ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარ მონაწილეობასა და გაძლიერებას. პრაქტიკულ დონეზე, პერსონალის ჩართულობა რეალიზებულია პედაგოგიურ საბჭოში თანაბარი ხმის უფლებითა და საგნობრივი კათედრების აქტიური მუშაობით კურიკულუმის შემუშავებასა თუ საათების განაწილებაში. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფილია მშობელთა კომიტეტის მეშვეობით, რომლის წარმომადგენლებიც აირჩევიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინარულ/სააპელაციო კომიტეტებში, ასევე სკოლის მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფებში. მოსწავლეთა ჩართულობას კი სრულფასოვნად ახორციელებს საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც დამტკიცებული დებულების საფუძველზე დამოუკიდებლად მართავს სასკოლო კლუბებს, გეგმავს აქტივობებს და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მონაწილეობს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა
- შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესი
- სკოლის ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის წესი
- თვითმმართველობის ოქმი და დებულება
- დამრიგებლის დებულება
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები
- უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების**

მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგმოდული. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ეტაპობრივად განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სკოლის და მოსწავლეების უსაფრთხოებაზე და წესრიგზე ზრუნავენ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მორიგე მასწავლებლები სკოლის ორივე სართულსა და ეზოში. სკოლაში წარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი. სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს, დირექტორის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი ახორციელებს. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერების პროცედურა. სკოლის დირექტორის ოფიციალური ბრძანებით, აღნიშნული ფუნქციის შესრულება დაკისრებული აქვს ორ უფლებამოსილ პირს (მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლებს), რაც უზრუნველყოფს პროცესის ეთიკურად, მოსწავლეთა უფლებებისა და გენდერული ასპექტების მკაცრი დაცვით წარმართვას. სკოლაში ოფიციალურად მოქმედებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის მექანიზმი. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის შენობისა და ეზოს მთელ პერიმეტრზე, თვალსაჩინო ადგილებში ყველგან გამოკრულია თამბაქოს მოხმარების აკრძალვის ამსახველი სპეციალური ნიშნები/პლაკატები, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას. საავტორიზაციო ვიზიტისას დადგინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ ეტაპზე არ მუშაობს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი. აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო გაძლიერებისა და სამუშაო გარემოში რისკების ეფექტური პრევენციის მიზნით, სკოლას მიეცა შემდეგი **რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის გარე პერიმეტრი (ეზო) ყველგან სრულად არის შემოღობილი, რაც გამორიცხავს ტერიტორიაზე გარეშე პირთა ან ცხოველთა უკონტროლო შემოჭრას და მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების ხარისხს. სკოლის ეზოს პერტიმეტრზე აქვს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. სკოლაში დასაქმებულია ერთი დარაჯი (ე.წ. დღის დარაჯი). სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სისტემატურად ცდილობს ღამის ცვლისთვის მეორე დარაჯის შტატის დამატებას, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. აღნიშნული პროცესის სამართლებრივი მხარდაჭერისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით, დაწესებულებას მიეცა **რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, საჭიროებიდან**

გამომდინარე, მეორე დარაჯის შტატის დამატების თაობაზე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართოს ოფიციალური წერილობითი ფორმით, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ოფიციალურად არის შეთანხმებული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რაც დასტურდება მათ მიერ 2024 წლის 7 ივნისს გაცემული დადებითი პასუხით (№MIA 2 24 01685560). სკოლა არის ახალაშენებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, აღჭურვილია დაკვამლიანების დეტექტორებით და გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. ბრძანებით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირები. სკოლის მიერ 2026 წლის 28 აპრილს ოფიციალურად განხორციელდა მიმართვა (№MES 6 26 0000492567) შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსადმი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და დასკვნის მომზადების თაობაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რაც დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში ასახული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია**: **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის აპრილისა.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ნაწილობრივ უზრუნველყოფს ტერიტორიაზე ვიდეომონიტორინგის განხორციელებას. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით (5 ვიდეოკამერა), რომელიც ამ ეტაპზე აკონტროლებს მხოლოდ შენობის შესასვლელებსა და გარე პერიმეტრს, რაც იძლევა გარე საფრთხეების პრევენციის შესაძლებლობას. თუმცა, შიდა სასკოლო სივრცე, მათ შორის პირველი და მეორე სართულის დერეფნები და შიდა კიბის უჯრედი, მოკლებულია ვიდეომონიტორინგს, ამასთან სკოლაში არ მუშაობს მანდატურის სამსახური, რაც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტურ დაცვას. აღნიშნული შეუსაბამობა დაწესებულებას ასახული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის სრულყოფა, რაც მოიცავს სკოლის შიდა სივრცეების (პირველი და მეორე**

სართულის დერეფნებისა და შიდა კიბის უჯრედის) სრულ ვიდეომონიტორინგს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის ნოემბრისა.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შესწავლილი და გადამოწმებული იქნა სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რაც სრულ შესაბამისობაშია ერთობლივი №41/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებთან. სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო დოკუმენტაციისა და პირადი საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი კომპეტენცია სრულად პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს: იგი დიპლომით არის პედიატრი, ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს პედიატრიაში და მეორე სერტიფიკატს საოჯახო მედიცინაში, რაც აკმაყოფილებს სკოლის ექიმისთვის განსაზღვრულ სავალდებულო პროფესიულ სტანდარტს. სამედიცინო კაბინეტის ფიზიკური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სივრცე აღჭურვილია ყველა კანონისმიერი სავალდებულო ინვენტარით, აპარატურითა და შესახვევი/სახარჯი მასალით. ვიზიტის პერიოდში კაბინეტში სრულად იყო განთავსებული №2.1 დანართით გათვალისწინებული სამკურნალო მედიკამენტების ნუსხა. სკოლაში მოქმედებს მედიკამენტების მართვის გამართული სისტემა: ექიმის მიერ მკაცრად კონტროლდება ვარგისიანობის ვადები, მოკლევადიანი და მიმდინარე პერიოდში მოხმარებიდან ამოღებული მედიკამენტები სათანადოდ არის ჩამოწერილი სპეციალურ სააღრიცხვო ფორმაში (№2.3 დანართი) და ფიზიკურად გამოყოფილია ცალკე, შემდგომი კანონშესაბამისი განადგურების მიზნით. შესყიდვებისა და მატერიალური მომარაგების დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება მუდმივად და დროულად უზრუნველყოფს ფარმაცევტული საშუალებების განახლებას. იურიდიულ და პროცედურულ დონეზე, სკოლის ექიმი ზედმიწევნით აწარმოებს ყველა სავალდებულო დოკუმენტს, მათ შორის სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალსა და გაწეული მომსახურების სააღრიცხვო ფორმებს. გარდა უშუალო სამედიცინო ინტერვენციისა, ექიმს წინასწარ აქვს გაწერილი ჰიგიენასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყოველკვირეული საინფორმაციო შეხვედრებისა და პროცედურების გეგმა-გრაფიკი სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული აქტივობების (ჯანსაღი ცხოვრების წესი, პირადი ჰიგიენა და პრევენციული ღონისძიებები) რეალურ ცხოვრებაში ეფექტური რეალიზება დამატებით დადასტურდა მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაცულია როგორც სამართლებრივ, ისე პრაქტიკულ დონეზე, რაც მყარდება „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტითა და მრჩეველთა საბჭოს პერმანენტული საქმიანობით. სკოლის შენობის ფიზიკურ დაცვას და პერიმეტრის მონიტორინგს სისტემურად ახორციელებს სკოლის დარაჯი, ხოლო საგაკვეთილო პროცესისა და დასვენებების დროს წესრიგის უზრუნველყოფა რეგულირდება მორიგე მასწავლებლების მიერ, რომლებიც მკაცრად აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლაში მოქმედებს კრიზისების, მოსწავლეთა შორის ძალადობისა და ბულინგის პრევენციისა და მათზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.

სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლა აქტიურად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიებს. პირველი სემესტრის განმავლობაში, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მოეწყო შეხვედრები ბულინგის, კიბერბულინგის, ძალადობისა და ნაადრევი ქორწინების ნეგატიური გავლენის შესახებ, ასევე მოხდა საგანგებო ცხელი ხაზების (112, სახალხო დამცველი, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრი) ნომრებისა და ფუნქციების დეტალური გაცნობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წესრიგის ყოველდღიურ კონტროლს: სკოლაში იკრძალება ქცევის კოდექსითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული აკრძალული ნივთების შემოტანა, ხოლო გამოვლენილი დისციპლინური გადაცდომის - დაგვიანებების პრევენციის მიზნით, ადმინისტრაცია მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს მშობლებთან პრობლემის ერთობლივად გადაჭრის გზების მოსაძიებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა, რაც დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. სამართლებრივ დონეზე, დოკუმენტი მკაცრად განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების დაცვას, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და ფსიქოლოგიურად თუ ემოციურად უსაფრთხო გარემოს გარანტირებას. სკოლაში მოქმედებს ძალადობის, ბულინგისა და კიბერბულინგის იდენტიფიცირებისა და პრევენციის მექანიზმები.

პრაქტიკულ დონეზე, ემოციურად უსაფრთხო გარემოს მხარდასაჭერად სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მართვის კოლეგიურ ორგანოებთან და ახორციელებს მიზნობრივ აქტივობებს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებისა და მშობლებისთვის რეგულარულად ტარდება საგანმანათლებლო-

საინფორმაციო შეხვედრები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ეფექტური კომუნიკაცია შვილთან და ძალადობის (მათ შორის ნაადრევი ქორწინების) ნეგატიური გავლენა მოზარდის ფსიქოლოგიაზე. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების სრულ ინფორმირებულობას და საინფორმაციო დაფებზე თვალსაჩინო ადგილას აქვს განთავსებული სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, რაც საჭიროების შემთხვევაში კრიზისებზე მყისიერი და კვალიფიციური რეაგირების დამატებით გარანტიას ქმნის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხი სამართლებრივად და პროცედურულად სრულყოფილად არის დარეგულირებული დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური წესითა და ადამიანების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით. სკოლის შიდა რეგულაციები ეფუძნება და სრულად ითვალისწინებს „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ რეკომენდაციებსა და მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს. დოკუმენტურად, სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის საერთო კონტროლი და ზედამხედველობა ოფიციალურად დაკისრებული აქვს სკოლის ექიმს, რაც უზრუნველყოფს პროცესის პროფესიულ მართვას.

დამტკიცებული წესით დეტალურად არის გაწერილი დასუფთავების ყოველდღიური, ყოველკვირეული და კვარტალური/გენერალური პროცედურები, სადაც მკაფიოდ არის გადანაწილებული ფუნქციები შემსრულებლებსა (დამლაგებლები) და მადეტალიზებელ მეთოდებს შორის. დოკუმენტაცია ითვალისწინებს სივრცეების (საკლასო ოთახები, დერეფნები, საპირფარეშოები, სპორტული მოედანი და ადმინისტრაციული ნაწილი) სველი წესით დამუშავების, განიავებისა და ნაგვის ურნების დაცლის მკაცრ პერიოდულობას. გარდა ამისა, წესში მკაფიოდ არის გაწერილი ნარჩენების მართვის, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით დეზინსექცია/დერატიზაციის ჩატარების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო შენახვისა და ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში სკოლის სპეციალურ რეჟიმზე გადასვლისა თუ ჭურჭლის/ზედაპირების დეზინფექციის განსხვავებული პროცედურები.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტით დგინდება, რომ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული პროცედურები და სანიტარულ-ჰიგიენური მექანიზმები პრაქტიკაში სრულფასოვნად და ეფექტურად არის რეალიზებული. სასკოლო სივრცის ფიზიკური დათვალიერებისას თვალშისაცემია განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგი შენობის თითოეულ წერტილში. დასუფთავების, დეზინფექციისა და ჰიგიენური საშუალებების მარაგები უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით დასაწყობებულია სპეციალურ, დაკეტილ დამხმარე ოთახში, რომელიც

აღჭურვილია ბუნებრივი განათებით (ფანჯრით) და გამართული ვენტილაციის სისტემით. გარდა ამისა, სანიტარული სტანდარტების შესაბამისად, ყველა სართულზე, დერეფნებში, საპირფარეშოებში, საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში განთავსებულია სატერფულიანი (თავსახურიანი) ნაგვის ურნები, რაც ხელს უწყობს სკოლაში სუფთა და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს მუდმივ შენარჩუნებას.

აღნიშნულ ფაქტორს მნიშვნელოვნად აძლიერებს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიც: მოსწავლეები და მშობლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ არ ახსენდებათ სკოლაში ანტისანიტარიის არცერთი მაგალითი. მოსწავლეებისთვის სასკოლო გარემოს ასეთი მაღალი სისუფთავე იმდენად თვალსაჩინო და მოსაწონია, რომ მათ თავადაც აქვთ ჩამოყალიბებული შინაგანი პასუხისმგებლობა და მიკუთვნებულობის განცდა, რათა მუდმივად დაიცვან ჰიგიენის კულტურა და მაქსიმალურად მოუფრთხილდნენ სასკოლო გარემოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილია როგორც ნორმატიულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი“, ხოლო „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტით მკაცრად არის აკრძალული სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სასკოლო ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლაში ასევე მოქმედებს მკაცრი წესი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რაც ითვალისწინებს წელიწადში არანაკლებ ერთხელ დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ამ მიმართულებით.

პრაქტიკული მართვისა და მონიტორინგის მიზნით, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანების (№31) საფუძველზე, გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც სკოლისათვის უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. დამტკიცებული ფუნქციონალური მოვალეობების შესაბამისად, ოფიცერი ახორციელებს მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგს, განიხილავს ამ კუთხით შემოსულ საჩივრებს, უზრუნველყოფს სამართლებრივ კონსულტირებას, თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან და თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია უშუალოდ სკოლის დირექტორის წინაშე.

სკოლის მოსწავლეებისა და დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მკაცრად განსაზღვრულია და აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება ადმინისტრაციის

ოთახში, სპეციალურად დაცულ კარადაში, რომლის გასაღები ჩაბარებული აქვს პასუხისმგებელ პირს, საარქივო მასალებიც განთავსებულია სათანადოდ დაცულ სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის დაცვის, კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მექანიზმები სამართლებრივად და პროცედურულად მოწესრიგებულია სკოლის „საქმისწარმოების წესით“ და „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკით“. სკოლაში მოქმედი რეგულაციებით, სამსახურებრივი დოკუმენტები მათი მომზადების პროცესში ოფიციალურად მიჩნეულია კონფიდენციალურად და მკაცრად იკრძალება ნებისმიერი პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სასკოლო ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ინფორმაციული უსაფრთხოების კულტურის ამაღლების მიზნით, სკოლა წელიწადში არანაკლებ ერთხელ უზრუნველყოფს დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას საინფორმაციო უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

ინფორმაციის დაცვისა და დოკუმენტბრუნვის პრაქტიკული კონტროლი განაწილებულია შიდა და გარე პასუხისმგებელ პირებს შორის. ინსტიტუციურ დონეზე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ გამოყოფილია სპეციალური ოფიცერი, რომელიც კურირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ მხარეს. შიდა დონეზე კი, საქმისწარმოების წესის თანახმად, ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის ყველა თანამშრომელს, ვისაც სამსახურებრივ დოკუმენტებთან აქვს შეხება. დოკუმენტების ფორმირებას, არქივირებასა და მათ ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების დაკარგვის, არასანქცირებული განადგურებისა თუ სარგებლობის წესების დარღვევის პრევენციაზე. გარდა ამისა, სამედიცინო ხასიათის კონფიდენციალური ინფორმაციის (სააღრიცხვო ფორმები და ჟურნალები) დაცვას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სკოლის სამედიცინო პერსონალი.

სკოლის „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკაში“ აღნიშნულია, რომ შენობაში მიმდინარეობს უწყვეტი ვიდეომონიტორინგი, ხოლო სკოლა აღჭურვილია შესაბამისი სისტემით. საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით, ხანძრის პრევენციის ნაწილში, ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობაზე ზოგადი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს „საგანგებო შტაბის წევრებსა და გადამზადებულ პერსონალს“. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ვინაიდან წერილობითი წესებით არ იყო დეტალიზებული ვიდეოჩანაწერების შენახვის, დამუშავებისა და მათზე დაშვების ინდივიდუალური უფლებების საკითხი დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში მიეცა რჩევა, რომ სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას,

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და შიდა უსაფრთხოების სტანდარტების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, შიდა მარეგულირებელი აქტით/დოკუმენტით კონკრეტულად განესაზღვრა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგზე, ჩანაწერების შენახვასა და მათ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა მკაცრად განსაზღვრული წრე (მაგ. დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი და სკოლის შეხედულებისამებრ სხვა). აღნიშნული სკოლამ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაითვალისწინა - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრა როგორც უფლებამოსილი პირები, ასევე „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტში დეტალურად გაწერა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგის, ჩანაწერების შენახვისა და დამუშავების წესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და მუდმივი გაუმჯობესების ციკლი სამართლებრივად და ინსტიტუციურად რეგულირდება „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკით“ და სკოლის კოლეგიური ორგანოების დებულებებით. უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანობის პერიოდული შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მრავალპროფილური სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიან სკოლის დირექცია, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. საბჭო პერიოდულად იკრიბება, რათა შეაფასოს სკოლაში არსებული რისკები, უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობა და განიხილოს გამოვლენილი გამოწვევები.

პრაქტიკულ დონეზე, შეფასების შედეგების რეაგირებისა და მექანიზმების გაუმჯობესების ტენდენცია ნათლად დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით (მაგ. ოქმი №2). სხდომებზე სისტემურად ხდება სასკოლო დროს გამოვლენილი დისციპლინური გადაცდომების (მაგალითად, მოსწავლეთა დაგვიანებების) ანალიზი, რის საფუძველზეც იგეგმება პრევენციული ღონისძიებები და მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობის გაძლიერება პრობლემის ერთობლივად გადასაჭრელად. გარდა ამისა, საბჭო აფასებს ქცევის კოდექსისა და შინაგანაწესის აღსრულების ეფექტიანობას და, შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი საინფორმაციო-პრევენციული შეხვედრების ჩატარების შესახებ. უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სკოლა პერიოდულად აფასებს საინფორმაციო კამპანიების საჭიროებას და აქტიურად რეაგირებს - მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მართავს შეხვედრებს ბულინგის, კიბერბულინგის, ნაადრევი ქორწინების ნეგატიური შედეგებისა და საგანგებო ცხელი ხაზების (112, მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრი) ფუნქციონირების შესახებ, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის მუდმივ განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება №2-11);
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №2;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-07 საგანგებო შტაბის დამტკიცების და საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედების შესახებ;
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალური შეთანხმების წერილი №MIA 2 24 01685560;
- შენობიდან ევაკუაციის გეგმები (I და II სართულები);
- ოფიციალური მიმართვა/განცხადება სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის თაობაზე №MES 6 26 0000492567;
- ექიმის სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება;
- სკოლის სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი;
- სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;
- სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (დირექტორის ბრძანება №2-04);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი (დირექტორის ბრძანება №2-17);
- ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება №31 (ოფიცრის განსაზღვრის შესახებ);
- სკოლის საქმისწარმოების წესი (დირექტორის ბრძანება №2-07);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 66.53.07.328);
- სკოლის საკადასტრო გეგმა/აზომვითი ნახაზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის უზრუნველყოფს გამართულ, უსაფრთხო და სამართლებრივ საფუძვლებზე დაფუძნებულ ფიზიკურ გარემოს, რომელიც შეესაბამება დაწესებულების მისიით გაცხადებულ მიზნებს. საჯარო რეესტრის ოფიციალური ამონაწერით (საკადასტრო კოდი N 66.53.07.328) დასტურდება, რომ სკოლის უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხოლო დაწესებულებას გადაცემული აქვს უვადო სარგებლობის უფლებით. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 10491.00 კვ.მ-ს, ხოლო მასზე განთავსებულია საგანმანათლებლო მიზნებისთვის განკუთვნილი ძირითადი შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით -1610.34 კვ.მ და დამხმარე შენობა N2 ფართით -20.25 კვ.მ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ფიზიკური დათვალიერებით დადასტურდა, რომ აღნიშნული კაპიტალური, ახალაშენებული და თანამედროვე ინფრასტრუქტურა, აგრეთვე არსებული მატერიალური რესურსები სრულ შესაბამისობაშია სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების სრულ რაოდენობასთან - **169** მოსწავლესთან. საკლასო ოთახებში განთავსებული მერხებისა და სკამების, ასევე კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა სრულად პასუხობს აღნიშნული კონტინგენტის საჭიროებებს. ყველა სამუშაო და სასწავლო ოთახში გაყვანილია საკაბელო ინტერნეტი და ამავდროულად, მთელ შენობაში ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტ ქსელი (Wi-Fi). ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის საერთო და რეკრეაციული სივრცეები მაქსიმალურად არის ორიენტირებული მოსწავლეებისთვის კომფორტული და პოზიტიური

გარემოს შექმნაზე: დერეფნებსა და საერთო სივრცეებში განთავსებულია რბილი დასაჯდომები ე.წ. „პუფები“ და მყუდრო სამუშაო სივრცეები. სკოლის დერეფანში დამატებით განთავსებულია ორი ჩოგბურთის (ტენისის) მაგიდა. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია გამართულია, ფუნქციონირებს ინტერნეტი და მას მოსწავლეები მუდმივ რეჟიმში იყენებენ როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესში, ისე STEAM კლუბისა და სხვა შემოქმედებითი აქტივობებისთვის. ბიბლიოთეკის მუშაობა ორგანიზებულია ორ სივრცეში: ერთ ოთახში განთავსებულია ძველი წიგნადი ფონდი, ხოლო მეორე ოთახში, სადაც კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს, მოწყობილია დიდი თაროები და ღია წიგნადი ფონდი, რომელსაც მოსწავლეები ადგილზე საინფორმაციო მომსახურებისთვის ყველაზე ხშირად იყენებენ. საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სივრცეებით სარგებლობისთვის შემუშავებული და სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილია სათანადო დებულება, წესები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და მოქმედებს სარგებლობის მოქნილი განრიგი. სკოლის ადმინისტრაცია სკოლის ფართს მაქსიმალურად იყენებს მოსწავლეთა ინტერესებისთვის. დაწესებულებამ საკუთარი ძალისხმევითა და რესურსით ერთ-ერთ თავისუფალ ოთახში მოაწყო სააქტო სივრცე; გარდა ამისა, შენობის დერეფნის ნაწილში კრეატიულად არის მოწყობილი მცირე სააქტო კუთხე სპეციალური სცენით, რაც მოსწავლეებს თვითგამოხატვისა და არაფორმალური ღონისძიებების გამართვის საშუალებას აძლევს. სასწავლო-პრაქტიკული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა), რომელიც უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი სველი წერტილით (ნიჟარა) და საგნობრივი მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სათანადო სასწავლო-პრაქტიკული ინვენტარით. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო სივრცე, რომელიც მოწყობილია პედაგოგთა სამუშაო და მოსასვენებელი საჭიროებებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ცალკე ოთახია გამოყოფილი სასკოლო რადიოს ფუნქციონირებისთვის, სადაც მოსწავლეები ყოველდღიურ რეჟიმში ამზადებენ გადაცემებს. შენობაში გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ოთახი, სადაც დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორები და ხორციელდება კამერების უწყვეტი კონტროლი. სკოლაში გამოყოფილია კვებისთვის განკუთვნილი სპეციალური ოთახი, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნია მოქმედი სასადილო ან/და მესამე პირებთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს კვების ორგანიზებას. მიუხედავად იმისა, რომ შენობას არ გააჩნია დახურული სპორტული დარბაზი, სკოლამ უამინდობის პერიოდისთვის სპეციალურად გამოყო და შესაბამისად აღჭურვა ცალკე საკლასო ოთახი სპორტის გაკვეთილების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით. სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი გამართული და მდგრადი შიდა ტექნიკური სისტემებით, მათ შორის: ცენტრალური გათბობის ავტონომიური სისტემით (რომელიც ფუნქციონირებს N2 ნაგებობაში), ბიოლოგიური ფილტრაციის თანამედროვე კანალიზაციის სისტემით, ცენტრალური სავენტილაციო სისტემით, წყლის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად რეზერვუარებით/სარეზერვო ავზებითა და ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროთი -ავტონომიური დიზელ-

გენერატორით. სკოლის ფიზიკური გარემო მორგებულია არა მხოლოდ შშმ პირთა შეუფერხებელ გადაადგილებაზე (მოქმედებს პანდუსი, ლიფტი, ფუნქციონირებს აღჭურვილი რესურს-ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე), არამედ პასუხობს ნებისმიერი მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, მრავალფეროვან ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ეზოს ტერიტორია სრულად არის კეთილმოწყობილი მწვანე ზონებით, დასასვენებელი სივრცეებითა და სასკოლო სკამებით. თანამედროვე სტანდარტების ღია სპორტული მოედნის პარალელურად, ეზოს მოვლილ, მოსწორებულ და რეგულარულად მოთიბულ ბუნებრივ მწვანე საფარზე მოწყობილია ფრენბურთის ბადე, რაც იძლევა შესაძლებლობას, სპორტული მოედნის დაკავებულობის შემთხვევაშიც, მოსწავლეებმა პარალელურ რეჟიმში, სრულფასოვნად და უსაფრთხოდ გამოიყენონ ეზოს სივრცე დასასვენებლად, ჯგუფური მუშაობისთვის ან ფიზიკური აქტივობებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ფიზიკური გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საერთო სარგებლობის სივრცეები თანაბრად, უსაფრთხოდ და ეფექტიანად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, „ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“ და „საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი“, რაც გამორიცხავს სივრცეების გადაკვეთას და უზრუნველყოფს პროცესების ორგანიზებულობას.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის მუდმივად ღია და ფიზიკურად ხელმისაწვდომია: კომპიუტერული ლაბორატორია (რომელიც აქტიურად გამოიყენება STEAM და საგნობრივი აქტივობებისთვის), ორ სივრცეში ფუნქციონირებადი ბიბლიოთეკა, დამოუკიდებელი სააქტო დარბაზი, დერეფანში მოწყობილი კრეატიული მცირე სააქტო კუთხე სპეციალური სცენით და მოსასვენებელი სივრცეები, რადიოს ოთახი და მეორე სართულზე განთავსებული სამასწავლებლო სივრცე. ფიზიკური დათვალიერებით ასევე დასტურდება თანამედროვე ღია სპორტული მოედნისა და უამინდობისთვის სპეციალურად გამოყოფილი სპორტის საკლასო ოთახის მუდმივი მზადყოფნა. სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური რესურსების (მობილური პროექტორები, პრინტერები, 34 ლეპტოპი) ხელმისაწვდომობა, რასაც აძლიერებს მთელ შენობაში არსებული უწყვეტი საკაბელო და უსადენო (Wi-Fi) ინტერნეტ ქსელი. ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა სრულად ინკლუზიურია: შენობა აღჭურვილია ლიფტით, პანდუსით, ადაპტირებული

სველი წერტილებითა და სათანადო რესურს-ოთახით. მშობლებისა და მოსწავლეების გასაუბრებამ დაადასტურა, რომ სკოლის მატერიალური აქტივები რეალურად გამოიყენება მათი საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით, ყოველგვარი ხელოვნური ბარიერების გარეშე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს წიგნადი ფონდით სარგებლობის პირობებს, მკითხველთა (მოსწავლეებისა და პერსონალის) უფლება-მოვალეობებს, წიგნების გაცემისა და დაბრუნების ვადებსა და წესებს. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ფიზიკური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის საბიბლიოთეკო სივრცე და სერვისების მიწოდება ორგანიზებულია ორ სამუშაო ოთახში: ერთ დამოუკიდებელ სივრცეში განთავსებულია ძველი წიგნადი ფონდი, ხოლო მეორე ოთახში, სადაც კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს, მოწყობილია დიდი თაროები და ღია წიგნადი ფონდი, რომელსაც მოსწავლეები ადგილზე საინფორმაციო მომსახურებისთვის ყველაზე ხშირად და ინტენსიურად იყენებენ. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით; ფონდი თაროებზე განლაგებულია მათი მიღების რიგითობის მიხედვით და ნაწილობრივ თემატურად. საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის გაძლიერების მიზნით, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერითა და უზრუნველყოფილია უწყვეტი წვდომა როგორც საკაბელო, ისე უსადენო (Wi-Fi) ინტერნეტ ქსელთან. პროცესების გამართულობისთვის შემუშავებულია „საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი“, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკა ღიაა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას სრულფასოვნად ისარგებლონ სივრცით საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომაც. სკოლას არ გააჩნია ცალკე ბიბლიოთეკარის შტატი, თუმცა აღნიშნული მოვალეობა შეთავსებული აქვს სკოლის ბუღალტერს, რომელმაც პერსონალის პროფესიული მხარდაჭერისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიარა სკოლის თანამედროვე ბიბლიოთეკის მოწყობის შესაბამისი ტრენინგები. მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საბიბლიოთეკო სერვისები რეალურად მიეწოდება სასკოლო საზოგადოებას და წესები მათთვის ცნობილია. ამასთანავე, ბიბლიოთეკაში წიგნის ძიების, არჩევისა და მიგნების პროცესის კიდევ უფრო გამარტივებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სკოლას მიეცა შემდეგი **რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს სრულყოფილი საბიბლიოთეკო წიგნების კატალოგი, ხოლო უშუალოდ სივრცეში წიგნების განთავსება და თაროებზე ორგანიზება მოახდინოს ანბანური ან თემატური დაყოფის პრინციპით.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემო და მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას და მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება“, რომელიც დეტალურად არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის ადეკვატური პირობების შექმნის გარანტიებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ფიზიკური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლა სრულად ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირთა შეუფერხებელი გადაადგილებისა და სწავლისთვის: შენობის შესასვლელში მოწყობილია სტანდარტების შესაბამისი პანდუსი, ორსართულიან შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო ადაპტირებული სველი წერტილები ხელმისაწვდომია ორივე სართულზე. პირველ სართულზე ფუნქციონირებს სპეციალური რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო ინვენტარით, ტექნიკით, რბილი ავეჯითა და უწყვეტი ინტერნეტით, რაც სსსმ მოსწავლეებს (ვიზიტის ფარგლებში სკოლას ერთი მოსწავლე ჰყავს) ძირითადი პროგრამული საკითხების დაძლევაში ეხმარება. სკოლის დერეფნებსა და შიდა სივრცეებში მოწყობილია სპეციალური მოსასვენებელი კუთხეები რბილი „პუფებითა“ და დასაჯდომებით, აგრეთვე განთავსებულია საჩოგბურთო მაგიდები, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი მოსწავლის მრავალფეროვანი ინტერესებისა და არაფორმალური საჭიროებების თანაბარ მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის შიდა და გარე ფიზიკური გარემო აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა სოციალიზაციის, შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და არაფორმალური აქტივობების ხელშეწყობისთვის. სამართლებრივ დონეზე, რესურსების მრავალმხრივი გამოყენება დაშვებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესითა“ და „საერთო სივრცეების განრიგით“. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლამ საკუთარი ინიციატივით მოაწყო დამოუკიდებელი სააქტო დარბაზი, ხოლო დერეფანში კრეატიულად გამართა მცირე სააქტო კუთხე სპეციალური სცენით, რაც მოსწავლეებს კულტურული ღონისძიებების გამართვის საშუალებას აძლევს. სოციო-კულტურულ ინტერაქციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცალკე გამოყოფილი სასკოლო რადიოს ოთახი, STEAM კლუბისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე. დერეფნებში განთავსებული საჩოგბურთო მაგიდები და რბილი „პუფები“ ქმნის მიმზიდველ გარემოს არაფორმალური კომუნიკაციისთვის. გარე პერიმეტრზე ფუნქციონირებს იდეალურ მდგომარეობაში არსებული თანამედროვე ღია სპორტული მოედანი. მის პარალელურად, ეზოს მოვლილ, მოთიბულ და მწვანე ბუნებრივ საფარზე დამონტაჟებულია ფრენბურთის ბადე

და განთავსებულია სასკოლო სკამები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას უსაფრთხოდ და შინაარსიანად დაისვენონ, დაკავდნენ ფიზიკური აქტივობებით და მართონ ჯგუფური შეკრებები გაკვეთილების შემდგომ პერიოდშიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობის არქიტექტურულ-ტექნიკური აზომვითი ნახაზები და სართულების გეგმარება;
- მატერიალურ-ტექნიკური აქტივების, ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის ბალანსზე ასახვის საბუთები;
- ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების ადმინისტრაციული მასალები;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“;
- სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი“;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება“;
- ბიბლიოთეკაში წარმოებული მკითხველთა სარეგისტრაციო და წიგნების გაცემა-ჩაბარების ჟურნალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. შენობაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამითა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საკლასო ოთახებში სტაციონარულად დამონტაჟებული პროექტორების არარსებობა კომპენსირებულია მობილური ტექნოლოგიების აქტიური და მოქნილი გამოყენებით; სასწავლო პროცესში პედაგოგები და მოსწავლეები საჭიროებისამებრ იყენებენ პორტატულ კომპიუტერებსა და მობილურ პროექტორებს, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ წვდომას ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებსა და საინფორმაციო გარემოსთან სხვადასხვა საფეხურის საკლასო ოთახებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის. სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის ადეკვატური რაოდენობის კომპიუტერებით, რომლებსაც მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს მუდმივ რეჟიმში იყენებენ როგორც მიმდინარე სასწავლო მიზნებისთვის, ისე კლუბებისა და არაფორმალური შემოქმედებითი პროექტებისთვის. ინტერნეტთან უწყვეტი წვდომა უზრუნველყოფილია მთელ სასკოლო სივრცეში. ყველა სასწავლო, საგნობრივ და ადმინისტრაციულ სამუშაო ოთახში (მათ შორის სამასწავლებლოში, რესურს-ოთახში, რადიოს ოთახსა და უპპ-ს სივრცეში) გაყვანილია საკაბელო ინტერნეტი, ხოლო პარალელურად უსადენო ინტერნეტ ქსელი (Wi-Fi). შედეგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არსებული მობილური ტექნიკითა და სტაბილური ინტერნეტკავშირით, სრულად უწყობს ხელს სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, ხოლო სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნული ტექნოლოგიებით სარგებლობენ დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებული წესის მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ციფრული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ტექნოლოგიური ბაზით სარგებლობის პირობები განსაზღვრულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესითა“ და „საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგით“, რაც გამორიცხავს რესურსების გადაკვეთას და უზრუნველყოფს საინფორმაციო სივრცეების ორგანიზებულ ათვისებას. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ მოსწავლეებისა და პერსონალისათვის უზრუნველყოფილია წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიასთან,

ბალანსზე არსებულ პორტატულ კომპიუტერებთან და მობილურ პროექტორებთან, რომლებსაც ისინი იყენებენ როგორც მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში, ისე კლუბისა და არაფორმალური აქტივობების ფარგლებში. საინფორმაციო რესურსების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას მთელ შენობაში აძლიერებს უწყვეტი საკაბელო და უსადენო (Wi-Fi) ინტერნეტ ქსელი. სკოლის „ციფრული განვითარების გეგმა“ ითვალისწინებს ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებას და სასკოლო საზოგადოების ციფრული კომპეტენციების ამაღლებას. გასაუბრებებით დასტურდება, რომ საინფორმაციო ინფრასტრუქტურით სარგებლობა ხორციელდება ბარიერების გარეშე, წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ციფრული განვითარების გეგმა“;
- სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების განრიგი“
- ისტ-ის კაბინეტის მუშაობის გრაფიკი;
- კომპიუტერული ტექნიკის (პორტაბელური ლეპტოპების, პრინტერებისა და პროექტორების) მიღება-ჩაბარების აქტები და საინვენტარიზაციო აღრიცხვის დოკუმენტაცია;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. საქმისწარმოების საერთო წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მასში დაზუსტებულია შემდეგი საკითხები: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი და ა.შ. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად,

ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, მაგ., ხელშეკრულებების რეგისტაციის ჟურნალში, რომელსაც ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის საქმისწარმოების ერთიან წესში იკითხება ინფორმაცია როგორც მატერიალურ ასევე ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით იწარმოება, იკინძება და ინახება საბუღალტრო დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტისას გადაიხედა თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები და მასში არსებული დოკუმენტები - დადასტურდა, რომ სკოლის პერსონალისა და კადრების პირად საქმეებში სრულფასოვნად არის განთავსებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი და სავალდებულო დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას აწარმოებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით; მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ მონაცემები შესულია eschool-ის ბაზაში. სკოლა იყენებს მართვის პროცესის, ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის ელექტრონულ ფოსტებს (outlook, gmail), თუ ელექტრონულ ჟურნალს. სკოლა იყენებს outlook-ში არსებული onedrive-ის ღრუბლოვან სივრცეს. სკოლაში ელექტრონული საშუალებებით მყარდება ძირითადი კომუნიკაცია განათლების სფეროს სტრუქტურებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია, გაკვეთილების ცხრილი, ინფორმაცია მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ. eschool-ის საშუალებით ხდება მოსწავლეთა მობილობა, იცვლება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა საგნების მიხედვით, ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. მათი მხრიდან შემოსულ დოკუმენტაციაზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ - საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისი წესების გათვალისწინებით იცავს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურებს და უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს, შემოსულ კორესპოდენციაზე მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ათი დღის ვადაში გასცემს შესაბამის წერილობით პასუხს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლამენტს. ასევე, საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს ანგრიშს. ამისთვის, დირექტორის ბრძანებით ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლა თანამშრომლობს განათლების სამისტროსთან, ხარისხის მართვის განვითარების ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. სკოლა კვარტალში ერთხელ წარადგენს დეკლარაციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესი“;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow) რეგისტრირებული შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) სკოლის პროფილი;
- განათლების სფეროს სტრუქტურებთან ოფიციალური კომუნიკაციისთვის გამოყენებული ელექტრონული ფოსტის (Outlook, Gmail) საარქივო მასალები და OneDrive-ის ღრუბლოვანი სივრცე;
- საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტისადმი წარდგენილი, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული ყოველწლიური 10 დეკემბრის ანგარიშები;
- სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- საგადასახადო/საფინანსო უწყებებში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარდგენილი კვარტალური დეკლარაციები;
- საქმისმწარმოებელთან დაცული, ნორმირებულ ვადებში გაცემული ოფიციალური წერილობითი პასუხები/რეაგირების დოკუმენტები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხების მართვის პრინციპებს, პასუხისმგებლობებსა და ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ელექტრონული რესურსების შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლა საზოგადოების ინფორმირებისთვის აქტიურად იყენებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალურ პორტალს (skolebi.emis.ge) და სკოლის ოფიციალურ სოციალურ ქსელს (Facebook გვერდი). აღნიშნულ პლატფორმებზე რეგულარულად თავსდება ინფორმაცია მიმდინარე სასწავლო და არაფორმალური აქტივობების, პროექტების, დაგეგმილი სიახლეებისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, რაც ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრების გამჭვირვალობასა და ცნობადობის ამაღლებას. მართვისა და საინფორმაციო უსაფრთხოების ჭრილში, გამოცემულია დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, რომლებითაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის პორტალსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს გამოქვეყნებული მონაცემების სანდოობასა და პერიოდულ განახლებას. გარდა ამისა, სკოლა კომუნიკაციის დამატებით არხებად ეფექტურად იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტასა და ელექტრონულ ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საინფორმაციო არხები რეალურად ფუნქციონირებს, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დროულ ინფორმირებულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დირექციასთან გასაუბრებისით დგინდება, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოუს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიპებიდან. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების შესახებ სანდოობაზე მეტყველებს სკოლის ფეისბუქ გვერდისა და ვებ-გვერდის მართვაზე სკოლის დირექციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის არსებობა. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ასახელებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გასაუბრებისას იკვეთება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება-გადამუშავება-გამოყენების პრაქტიკა. მაგ., სკოლა ღიაა თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან კომუნიკაციისთვის და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იყენებს სკოლის ფორმალური თუ არაფორმალური განათლების წახალისებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების წარმომადგენლებისგან მიღებული უკუკავშირის სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს, რაც ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის, კერძოდ, ოფიციალური ვებგვერდის, საკომუნიკაციო პლატფორმების, მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან უშუალო კომუნიკაციის, აგრეთვე შეხვედრებისა და გამოკითხვების მსგავსი ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების გამოყენებით. სკოლის მიერ მიღებული უკუკავშირი ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და ანალიზს, რის შედეგადაც მიღებული ინფორმაცია აქტიურად გამოიყენება მართვის პროცესში გადაწყვეტილებების მისაღებად და სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი (https://skolebi.emis.ge/schools/2348) სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge, რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე და ემთხვევა სკოლის სწავლების განხორციელების ენას (სახელმწიფო ენა-ქართული ენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას აქვს ვებგვერდი რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სკოლის შინაგანაწესი, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია, გასაჩივრების მექანიზმები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია იკითხება „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების განთავსებას სკოლა აპირებს ეტაპობრივად). სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების კუთხით კლუბები, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული სკოლის ვებ გვერდზე. **რჩევა: საინფორმაციო გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაძლიერების, სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობისა და გარე საკომუნიკაციო არხების ეფექტურად მართვის მიზნით, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე/პორტალზე არაფორმალური განათლების მიმართულებით მოქმედი სასკოლო კლუბების შესახებ დეტალური ინფორმაციის (კლუბის დასახელება, მიზნები, ხელმძღვანელი, განრიგი და მიღწეული შედეგები) ასახვა;**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესი“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება „ფაისბუქგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის და დაცვის თაობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;

- სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის პორტალზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის გვერდი და ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდი;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eFlow) და ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული საინფორმაციო გზავნილები;
- სკოლის დირექტორის ყოველწლიური ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები;
- სკოლის შინაგანაწესი და „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“;
- საზოგადოებრივი უკუკავშირის (გამოკითხვები, შეხვედრის ოქმები) შეგროვებისა და ანალიზის მასალები;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური რესურსების მართვა და სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება სამართლებრივად და პროცედურულად გამართული მექანიზმებით. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი №8) დასტურდება, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორის წარდგინებით

განიხილება და მტკიცდება ყოველწლიური ბიუჯეტი და მასში შესატანი ცვლილებები. სკოლას 2026 წლის ბიუჯეტში განხორციელებული აქვს დაზუსტებული ცვლილებები როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში, რაც გამოწვეულია ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებით, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 20%-იანი მატებით, საოფისე, სპორტული და რბილი ინვენტარის/ჰიგიენის ხარჯების ასახვითა და სკოლის ავტორიზაციისთვის გადასახდელი თანხის ოფიციალური გათვალისწინებით. ბიუჯეტის სტრუქტურა კვარტალურად არის გაწერილი და მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას კვარტალურად, ფუნქციური მასწავლებლების დანამატებს და ეკონომიკური საქმიანობიდან (იჯარა) მიღებულ საკუთარ სახსრებს. ფინანსური მდგრადობისა და მატერიალური აქტივების კონტროლის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით (ბრძანება №2-43) იქმნება დროებითი საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც ახორციელებს არაფინანსური, ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ყოველწლიურ სავალდებულო შემოწმებას და მასალებს აბარებს ბუღალტერიას. შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის, დირექტორის ბრძანებით სკოლის ბუღალტერს დამატებით აკისრია შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები, რომელიც უზრუნველყოფს 2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის (დამტკიცებული ბრძანებით №2-41) ელექტრონულ რეგისტრაციას ePLAN მოდულის მეშვეობით. შესყიდვების გეგმაში დეტალურად არის გათვალისწინებული დაფინანსების წყაროები. გარდა ამისა, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რასაც ადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და კონტროლის გამართული და კანონშესაბამისი სისტემა, რაც სამართლებრივად რეგულირდება სკოლის შიდა ნორმატიული აქტებითა და სახელმწიფო პლატფორმების გამოყენებით. ფინანსური რესურსების დაგეგმვა და განკარგვა ხორციელდება კოლეგიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით: სამეურვეო საბჭო (ოქმი №8) აქტიურად მონაწილეობს ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში, სადაც დეტალურად არის ასახული შემოსულობები, ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის შრომის ანაზღაურება, საოპერაციო, მატერიალური და ინფრასტრუქტურული ხარჯები. სკოლის ფინანსურ მართვასა და მონიტორინგს შიდა დონეზე ახორციელებს სკოლის ბუღალტერი, რომელსაც დირექტორის ბრძანებით (№1/კ-04) დამატებით აკისრია სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები. შესყიდვების დაგეგმვა და განკარგვა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის (ბრძანება №2-41)

შესაბამისად, ePLAN მოდულისა და CPV კოდების მკაცრი დაცვით, რაც გამორიცხავს სახსრების არაეფექტურ ხარჯვას და უზრუნველყოფს კონსოლიდირებული შესყიდვების კანონმდებლობის ფარგლებში წარმართვას. მატერიალური აქტივების მონიტორინგისა და ფინანსურ უწყისებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლაში მოქმედებს ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის მექანიზმი (ბრძანება №2-43), რომლის ფარგლებშიც სპეციალურად შექმნილი დროებითი კომისია ახორციელებს ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების აღწერასა და მიღებული შედეგების ასახვას საბუღალტრო ანგარიშგებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №8 (2026 წლის ბიუჯეტში შესატანი დაზუსტებული ცვლილებების განხილვა-დამტკიცების შესახებ);
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-41 „2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №1/კ-04 ბუღალტრისათვის დამატებით სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციის დაკისრების/ცვლილების შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-43 „ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“;
- ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლის უფლებების დაცვა წარმოადგენს სკოლის შიდა მართვის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის, უსაფრთხოების, რეფერირების, ბავშვთა დაცვისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები ქმნის ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და საგანმანათლებლო პროცესში თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე. წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები, სასწავლო პროცესში მონაწილეობის პირობები, დისციპლინური საკითხების განხილვის მექანიზმები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები, ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერისა და რეფერირების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლა მოსწავლის უფლებების დაცვას განიხილავს არა მხოლოდ სამართლებრივ მოთხოვნად, არამედ სასკოლო კულტურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილად.

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშით სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოსწავლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები, მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური პროგრესის შესახებ და ხელი შეუწყოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ამასთან, მოსწავლეს მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და საკუთარი პოზიცია გამოხატოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, მონაცემთა ანალიზისა და შეფასების შედეგების გამოყენებას სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რაც დამატებით აძლიერებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტიანობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მრავალმხრივი სისტემა, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, შიდა რეგულაციებსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. არსებული პროცედურები და პასუხისმგებლობების განაწილება ქმნის

საფუძველს მოსწავლის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ღირსების, თანასწორი მოპყრობისა და საგანმანათლებლო უფლებების ეფექტიანად დაცვისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და შიდა რეგულაციების ხელმისაწვდომობას. სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერისა და უსაფრთხოების პროცედურები, თვითმმართველობის დებულება, მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრების ძირითად წესებს, უფლებებსა და ვალდებულებებს.

მნიშვნელოვანია, რომ მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას და ხელმოწერით მისი მიღების დადასტურებას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებული იყოს როგორც საკუთარი, ასევე მოსწავლის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულებაში დეტალურადაა აღწერილი სკოლის, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

ასევე, მშობელთა კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტების არსებობა, უკუკავშირის მიღების მექანიზმები, თვითმმართველობის საქმიანობა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა ცდილობს რეგულაციების მხოლოდ ფორმალურ გაცნობას კი არა, არამედ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლასა და ანალიზს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების განხორციელებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედი რეგულაციები მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით არის მკაფიო, ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. ინფორმაციის გავრცელების, ხელშეკრულებითი ურთიერთობების, უკუკავშირის მექანიზმებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკა ქმნის გამჭვირვალე გარემოს, სადაც მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა იყვნენ ინფორმირებულნი საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები]

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული, კანონმდებლობასთან შესაბამისი და გამჭვირვალე ხელშეკრულებით. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მომსახურების პირობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, შეწყვეტის საფუძვლებს, პირად მონაცემთა დაცვის საკითხებსა და დავების გადაწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მირებული განათლების აღიარების სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის პროცედურები და რეგულაციები;
- ხელშეკრულება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ვებგვერდი სკოლების პორტალზე;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- სკოლის ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის წესი;
- თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ტრანზიციის გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი წესების, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლის საგანმანათლებლო სტატუსთან დაკავშირებული პროცესების მართვის მკაფიო და სტრუქტურირებული მექანიზმები. წარმოდგენილი რეგულაციები აღწერს შესაბამის პროცედურებს, პასუხისმგებელ პირებს, დოკუმენტაციის წარმოების წესსა და გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლებს.

დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობასა და სტატუსის ცვლილებას განიხილავს როგორც სამართლებრივად რეგულირებულ პროცესს, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და ზოგადი განათლების სისტემაში დადგენილ მოთხოვნებს. პროცედურების გაწერა უზრუნველყოფს პროცესების ერთგვაროვან განხორციელებას, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა უფლებების დაცვას.

ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების, საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის პროგრესის შეფასების პრინციპებს, რაც დამატებით ქმნის მოსწავლის საგანმანათლებლო გზის მართვის სისტემურ საფუძველს.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი მექანიზმები. არსებული რეგულაციები უზრუნველყოფს პროცესების სტანდარტიზებულ მართვას, გადაწყვეტილებების სანდოობასა და მოსწავლეთა უფლებების დაცვას, რაც ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არა მხოლოდ განსაზღვრულია შესაბამისი პროცედურები, არამედ ჩამოყალიბებულია მათი განხორციელების ინსტიტუციური საფუძვლები. რეგულაციებით გაწერილია ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები, დოკუმენტბრუნვის პროცედურები, გადაწყვეტილებების მიღების წესები და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები, რაც ქმნის მექანიზმების პრაქტიკაში დაცვის შესაძლებლობას.

სკოლის შიდა დოკუმენტები ადასტურებს, რომ ჩარიცხვასთან, მობილობასთან, სტატუსის ცვლილებასთან და საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებული საკითხები არ განიხილება ცალკეულ ადმინისტრაციულ ქმედებებად, არამედ წარმოადგენს სასკოლო მართვის სისტემის ნაწილს. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული შეფასებისა და პროგრესის მართვის

მექანიზმები დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლის საგანმანათლებლო სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ორიენტირებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებისას კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას.
წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი მექანიზმების დაცვისათვის. არსებული პროცედურები და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას, პროცესების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა უფლებების დაცვას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმა, შიდა რეგულაციები, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მოსწავლეთა მხარდაჭერისა და უსაფრთხოების მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტები, ადასტურებს, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მომსახურების პირობები, პროგრამები და მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინები.
სასკოლო სასწავლო გეგმა დეტალურად აღწერს სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, შეფასების სისტემას, სასწავლო პროგრამების განხორციელების თავისებურებებსა და მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. დამატებით, სხვადასხვა შიდა რეგულაცია არეგულირებს მოსწავლეთა უსაფრთხოებას, მხარდაჭერის მექანიზმებს, ჩართულობის ფორმებსა და სასკოლო საზოგადოების ფუნქციონირების საკითხებს.
წარმოდგენილი დოკუმენტების მრავალფეროვნება და მათი შინაარსი მიუთითებს, რომ სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას. ეს ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა, ისე მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.
წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას განსაზღვრული და დოკუმენტურად გაწერილი აქვს სასწავლო პროგრამების, მომსახურებების, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. არსებული დოკუმენტაცია და ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკა უზრუნველყოფს სასკოლო საქმიანობის გამჭვირვალობას, დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობასა და მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაცია საჯაროა და ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები]

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა სხვადასხვა ფორმით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ისე მშობელთა კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის ამსახველი მასალები, ეკოკლუბის აქტივობების დოკუმენტაცია და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მაგალითები.

დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ინფორმაციის გავრცელებას განიხილავს, როგორც სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს. წარმოდგენილი მასალები ასახავს როგორც საგანმანათლებლო, ისე დამატებითი და არაფორმალური აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრაქტიკას. ამასთან, დოკუმენტებში არ იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომები ან შეზღუდვები, ხოლო მხარდაჭერისა და მონაწილეობის მექანიზმები ორიენტირებულია ყველა მოსწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე. მშობელთა უკუკავშირის ინსტრუმენტების არსებობა ასევე მიუთითებს, რომ სკოლა ინტერესდება ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანობით და ცდილობს კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას გამჭვირვალობის, თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით. არსებული დოკუმენტაცია და კომუნიკაციის მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ სასკოლო საზოგადოებამ მიიღოს სანდო, განახლებული და არადისკრიმინაციული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, რაც ხელს უწყობს ნდობის, ჩართულობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის „ადაპტაციის წესი“ და „ტრანზიციის გეგმა“ მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება ადაპტაციის წესითა და ტრანზიციის გეგმით. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს მოსწავლის სკოლაში მიღების, სასწავლო და სოციალურ გარემოსთან შეგუების, საჭირო ინფორმაციის მიწოდებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების ძირითად პრინციპებს.
დოკუმენტებში გაწერილია პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და მათი ჩართულობის ფორმები, რაც უზრუნველყოფს ადაპტაციის პროცესის კოორდინირებულ და თანმიმდევრულ განხორციელებას. ასევე, გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის პროცესში მოსწავლის მხარდაჭერის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების შემცირებას.
მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომა ქმნის პირობებს, რათა ადაპტაციის პროცესი არ შემოიფარგლოს მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებით და მოიცავდეს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას გააჩნია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ადაპტაციის დაგეგმვის, მხარდაჭერის, კოორდინირებისა და მონიტორინგის

კომპონენტებს. არსებული რეგულაციები ქმნის მოსწავლის სასკოლო გარემოში ეფექტიანი ინტეგრაციისა და მისი კეთილდღეობის ხელშეწყობის საფუძველს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესი და ტრანზიციის გეგმა ცხადყოფს, რომ მოსწავლის მხარდაჭერა იწყება სასწავლო პროცესში ჩართვის პირველივე ეტაპიდან. დოკუმენტები ითვალისწინებს მოსწავლისთვის სასკოლო გარემოს, სასწავლო პროცესის თავისებურებების, მოქმედი წესებისა და ხელმისაწვდომი სერვისების გაცნობას, რაც ხელს უწყობს ახალ გარემოში მის სწრაფ და ეფექტიან ინტეგრაციას.

ადაპტაციის პროცესში ჩართულნი არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კლასის დამრიგებლები და პედაგოგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის ორგანიზებას. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოს ცვლილების, ახალ საფეხურზე გადასვლის ან სკოლაში ახლად ჩარიცხული მოსწავლეების შემთხვევაში.

დოკუმენტებით განსაზღვრული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას, სასწავლო პროცესში ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან გეგმაზომიერად და ორგანიზებულად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებას, მხარდაჭერასა და სასკოლო ცხოვრებაში ეფექტიან ჩართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა ორიენტირებულია მათი საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენასა და აკადემიური პროგრესის ხელშეწყობაზე. ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესების ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი კონსულტაციების ორგანიზება.

დოკუმენტები ქმნის საფუძველს მოსწავლის სასწავლო სირთულეების დროული იდენტიფიცირებისთვის, საჭირო მხარდაჭერის დაგეგმვისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემისთვის. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდას, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევას.

მოსწავლის მხარდაჭერის პროცესი ეფუძნება თანამშრომლობას ადმინისტრაციას, პედაგოგებს, დამრიგებლებსა და საჭიროების შემთხვევაში მშობლებს შორის, რაც უზრუნველყოფს აკადემიური განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს კონსულტირებას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და სასწავლო პროგრესის მხარდაჭერას. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და მათი საგანმანათლებლო პოტენციალის რეალიზებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ დამატებით განავითაროს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის შედეგების დოკუმენტირების პრაქტიკა (მაგ., კონსულტაციების აღრიცხვა, ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმები, პროგრესის მონიტორინგის ჩანაწერები), რაც ხელს შეუწყობს გაწეული მხარდაჭერის ეფექტიანობის უფრო მკაფიო შეფასებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებების დაცვის, ინფორმირების, მიმართვებისა და საჭიროებების განხილვის ორგანიზაციულ მექანიზმებს. რეგულაციებით გაწერილია პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და ის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე დროულ რეაგირებას.

დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას მათთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და მხარდაჭერის სერვისების შესახებ, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების რეალიზებას. ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოიცავს როგორც ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტირებას, ისე სხვადასხვა პროცესის კოორდინირებას მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

არსებული პროცედურები ქმნის გამჭვირვალე და მოსწავლეზე ორიენტირებულ მმართველობით გარემოს, სადაც ადმინისტრაციული მომსახურება მიმართულია მოსწავლის საჭიროებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირებისკენ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში განსაზღვრულია ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობას, საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და შესაბამის საკითხებზე დროულ რეაგირებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული და მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებას ფორმალური განათლების ფარგლებს მიღმა. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც ქმნის მოსწავლეთა მონაწილეობისა და ინიციატივების წახალისების ინსტიტუციურ საფუძველს. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა ინიციატივის საფუძველზე სასკოლო რადიოს ამოქმედების მაგალითი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა არა მხოლოდ იღებს მოსწავლეთა იდეებს, არამედ ხელს უწყობს მათ პრაქტიკულ განხორციელებას.

გარდა ამისა, ეკოკლუბის საქმიანობის ამსახველი მასალები ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი გარემოსდაცვით, შემეცნებით და პრაქტიკულ აქტივობებში. რეინჯერებთან შეხვედრები, ეკოლოგიური ღონისძიებები, პროექტული აქტივობები, დისკუსიები, ნამუშევრების გამოფენები და პრეზენტაციები ქმნის მრავალფეროვან შესაძლებლობებს მოსწავლეთა ინტერესების, ლიდერული უნარების, გუნდური მუშაობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებისათვის. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სასწავლო და სპორტულ ოლიმპიადებში; შემეცნებით კონკურსებში; მხატვრულ და შემოქმედებით ღონისძიებებში. ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის სასულიერო გიმნაზიის მიწვევით მონაწილეობა მიიღეს, ყოველწლიურ ფესტივალში „გენეთლია“, სკოლის მოსწავლეებმა „გენეთლიის“ სამ ნომინაციაში პირველი ადგილი მოიპოვა. სკოლა ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალ „ცისარტყელასთან“, სადაც პერიოდულად იბეჭდება მოსწავლეების შემოქმედებითი ნამუშევრები. ჩართულნი არიან ასევე, ამავე ჟურნალთან არსებულ პროექტში, „ახალი შანსი“. ჰყავთ გამარჯვებული და საპრიზო ადგილების მფლობელები, ასევე სკოლა არის პროექტის ნომინაციის „მშვიდობის ელჩები“ - მფლობელი. სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტში - STEAM. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების და სკოლაში გარემოსდაცვითი განათლების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სკოლა ჩართულია ნიკო კეცხოველის პრემიაში, კლუბით „მწვანე სამყარო“ რაც მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების და პასუხისგებლობის ამაღლებას უწყობს ხელს. ამ ეტაპისთვის სკოლამ შეძლო ჩართვა ფინანსური განათლების პროექტში FinEdu. მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს პროექტში „დაცული ტერიტორიების როლი კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ“. სკოლაში მე-5-, მე-6 და მე-7 კლასელებისთვის ფუნქციონირებს მათემატიკის კლუბი „ნორჩი მათემატიკოსები“, ასევე, ქართული ენა და ლიტერატურის „წიგნიერთა კლუბი“. მხარდაჭერილია და წახალისებული სკოლის თვითმმართველობა, მათი ინიციატივით არაერთი ღონისძიება სასიკეთოდ აისახება სკოლის ცხოვრებაზე, თვითმმაართველობის ინიციატივით ამოქმედდა პროექტი „სკოლის რადიო“, მოეწყო და გამწვანდა სკოლის ეზო, დაირგო მარადმწვანე ნარგავები, რასაც ასევე, მოსწავლეები უვლიან.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა ქმნის მრავალფეროვან შესაძლებლობებს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების განხორციელებისთვის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივების გამოვლენასა და

მხარდაჭერას. არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში და ხელს უწყობს მათი მრავალმხრივი განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა კმაყოფილების შეფასებისა და კომუნიკაციის კითხვარები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იყენებს უკუკავშირის მიღების მექანიზმებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების სისტემურად შესაგროვებლად. აღნიშნული ინსტრუმენტები საშუალებას აძლევს სკოლას, შეაფასოს არსებული მომსახურების ხარისხი, კომუნიკაციის ეფექტიანობა და მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები.

უკუკავშირის მიღების პრაქტიკა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების, არამედ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება ხელს უწყობს საჭიროებების გამოვლენას, მომსახურების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესით განსაზღვრული შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმები ქმნის მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველს. არსებული პრაქტიკა ქმნის მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის შეფასების, საჭიროებების გამოვლენისა და მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს, რაც ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

რჩევა: სასურველია უკუკავშირის შედეგების ანალიზისა და მათ საფუძველზე განხორციელებული გაუმჯობესების ღონისძიებების დოკუმენტირება უფრო სისტემური ფორმით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი მიღებულ რეკომენდაციებსა და განხორციელებულ ცვლილებებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- საგანმანათლებლო პროექტები;
- არაფორმალური განათლების პროექტები;

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლაში არსებული წრეების წესდებები და დებულებები, სამოქმედო გეგმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებგვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, რომელიც არეგულირებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობას. დოკუმენტი განსაზღვრავს მოსწავლეთათვის კარიერული განვითარების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების, კონსულტირების, პროფესიული ინტერესებისა და შესაძლებლობების გაცნობის, ასევე შემდგომი საგანმანათლებლო და პროფესიული არჩევანის მხარდაჭერის მექანიზმებს.
წარმოდგენილი რეგულაციებით სკოლა უზრუნველყოფს კარიერული ორიენტაციის მომსახურების ორგანიზებულ და სისტემურ განხორციელებას, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობებისა და მომავალი საგანმანათლებლო თუ პროფესიული განვითარების გზების შესახებ. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯებთან შპს „მაცნიერებათა სკოლა“, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“, ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას დანერგილი აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ორგანიზების მექანიზმები. შესაბამისი წესი ქმნის მოსწავლეთათვის კარიერული კონსულტირების ხელმისაწვდომობისა და პროფესიული თვითგამორკვევის მხარდაჭერის საფუძველს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების წესი ითვალისწინებს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას შემდგომი განათლებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. დოკუმენტის მიზანია მოსწავლეებმა დროულად მიიღონ სანდო ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობებზე, პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებსა და კარიერული განვითარების ალტერნატივებზე. დოკუმენტით განსაზღვრული საქმიანობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობის ზრდას და მათ მიერ განათლების შემდგომი ეტაპის გააზრებულ დაგეგმვას. აღნიშნული პროცესი ასევე მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. არსებული მექანიზმები ქმნის განახლებული და სანდო ინფორმაციის გავრცელების საფუძველს და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემდგომი საგანმანათლებლო და პროფესიული არჩევანის მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტირების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს განხორციელებული საქმიანობების ორგანიზებასა და მონიტორინგს. მომსახურების დაგეგმვა ეფუძნება განხორციელებული აქტივობების შეფასებას, რაც ქმნის საფუძველს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე უკეთ მორგებისთვის.

კარიერული ორიენტაციის პროცესის შეფასება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი საშუალებას აძლევს სკოლას განსაზღვროს ძლიერი მხარეები, გამოსავლენი საჭიროებები და დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მომსახურების განვითარებასა და მის ეფექტიანობაზე ორიენტირებულ მართვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა კარიერული ორიენტაციისა და კონსულტირების მომსახურების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს განხორციელებული საქმიანობის შეფასების შედეგებს. არსებული მიდგომა ქმნის მომსახურების უწყვეტი განვითარების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების უზრუნველყოფის საფუძველს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- დამრიგებლის ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამა.
- პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი
- მემორანდუმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პროგრამისა და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის ძირითადი პრინციპები, პასუხისმგებელი პირები და მხარდაჭერის ფორმები. დოკუმენტები არეგულირებს სსსმ მოსწავლის საჭიროებების გამოვლენის, მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს.
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესის სისტემურ დაგეგმვასა და განხორციელებას.
ამასთან, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა ინკლუზიური განათლების პროცესის მონიტორინგი, მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე ითვალისწინებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების, საგანმანათლებლო გარემოს ადაპტაციის, შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელებული ღონისძიებების შეფასების მექანიზმებს.
სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებს. აღნიშნული მექანიზმები რეგულირდება ინკლუზიური განათლების პროგრამით, სამოქმედო გეგმითა და შიდა მონიტორინგის სისტემით, რაც ქმნის სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული მხარდაჭერის განხორციელების საფუძველს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პროგრამის მიხედვით, სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის პროცესში ჩართული არიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. დოკუმენტები თანამშრომლობას განიხილავს, როგორც მოსწავლის განვითარების მხარდაჭერის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, რომლებიც მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის, თანამშრომლობის გაძლიერებისა და სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის ხელშეწყობისკენ.
ამასთან, შიდა მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა ეფუძნება სხვადასხვა მონაწილე მხარის ჩართულობას, ინფორმაციის გაზიარებასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობით და ეფუძნება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრების თანამონაწილეობასა და თანამშრომლობას. სკოლა აწარმოებს ყველა საჭირო დოკუმენტს. დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ხორციელდება ისგ-ს მონიტორინგი.
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება თანამშრომლობისა და ჩართულობის პრინციპებს. მხარდაჭერის პროცესში მონაწილეობენ ადმინისტრაცია, პედაგოგები, სპეციალური მასწავლებელი, მშობლები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რაც ქმნის მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობ და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება
- ინდივიდუალური გეგმები
- ისგ ჯგუფის დოკუმენტაცია

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას. მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტით მომსახურებით, რომელსაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.
სკოლის დირექცია უზრუნველყოფს პროცესის მონიტორინგსა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების კონტროლს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების მიწოდებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება თანამონაწილეობის, თანამშრომლობისა და საჭიროებებზე ორიენტირებული დაგეგმვის პრინციპებს. დოკუმენტის თავი I, მუხლი 1 განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ძირითად საფუძვლებს, ხოლო მუხლი 2 ადგენს, რომ კურიკულუმის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სკოლის განვითარების მიმართულებებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა.
ამასთან, მუხლი 5 განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ქმნის სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების სისტემურ მექანიზმს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი განიხილება როგორც სკოლის საგანმანათლებლო ხედვისა და საზოგადოების საჭიროებების ამსახველი დოკუმენტი. დოკუმენტის მუხლი 2 განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის ფუნქციაა სკოლის განვითარების მიმართულებებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა, ხოლო მუხლი 8 ადგენს კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრისა და საჭიროებებზე მორგების პროცედურებს.
ასევე, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მიუთითებს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაზე სკოლის სპეციფიკისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობას. მუხლი 5 ადგენს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციის, პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობის ფორმებსა და პასუხისმგებლობებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს საჭიროებების გამოვლენას, შეთანხმებასა და ერთობლივ გადაწყვეტილებებს.
ამასთან, მუხლი 6 და მუხლი 7 აღწერს კურიკულუმის განვითარების, განხილვისა და შემდგომი რეაგირების პროცესს, რაც ადასტურებს, რომ დოკუმენტის შემუშავება ეფუძნება თანამონაწილეობით მიდგომას.
წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით და ეფუძნება შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია განსაზღვრავს კურიკულუმის განხილვის, შეთანხმებისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. მუხლი 8 ადგენს კურიკულუმის განხილვისა და ინფორმაციის გავრცელების პროცედურებს, ხოლო მუხლი 9 განსაზღვრავს მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და მონაწილეობას.
დოკუმენტით განსაზღვრული მიდგომა ქმნის პირობებს, რომ კურიკულუმი იყოს ხელმისაწვდომი, განხილული და გაზიარებული სკოლის სხვადასხვა ჯგუფთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება განსაზღვრული პროცედურებით და სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მის განხილვასა და გაუმჯობესებაში.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების სხდომის ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ფიზიკა,ქიმია) და მისი შემადგენელი ნაწილები დაიგეგმა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები, შესაძლებლობები. იკვეთება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები. კურიკულუმები დაიგეგმა კათედრაზე, რასაც მოწმობს კათედრის ოქმი, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრის ოქმი და დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საფუძველს, პროცესს და კონკრეტულ მიდგომებს. სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს პედაგოგების მიერ სტანდარტის შესაბამისი დაგეგმვის უნარი. **რჩევა: უმჯობესია, კურიკულუმში იყოს მითითებული თემიდან გამომდინარე დამატებითი რესურსების შესაბამისი ბმულები („მოქალაქეობა“, მე-7, მე-9 კლასი). ბმულების უმეტესობა არ იხსნება, შესაბამისად იკარგება მისი მიზნობრიობაც („მე და საზოგადოება“ მე-4 კლასი, „გეოგრაფია“ მე-8, მე-9 კლასი, „მოქალაქეობა“, მე-8 კლასი), სასურველია კათედრაზე ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლა-სწავლების მიზნები და შედეგები ფორმულირებულია მოსწავლის მიღწევების ხელშეწყობის თვალსაზრისით. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული უნარებისა და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია ისეთი

	ყოველდღიური და ცხოვრებისეული კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მოსწავლეებს მომავალში დაეხმარებათ და მათ წარმატებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი წაროადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები, მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის მიერ ცოდნის აგების თანმიმდევრულ პროცესს - წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა: სასურველია, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (დაწყებითი საფეხურის V-VI კლასებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე) შენარჩუნდეს ერთიანი ჩარჩო, რათა იყოს მეტად ორგანიზებული და სისტემური სახის.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები სამივე საფეხურზე აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ცნებაზე დაფუძნებულ მოდელზე: დაცულია სვეტების ერთგვაროვანი სტრუქტურა - თემა, სამიზნე ცნება, საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა და სასწავლო რესურსები. საშუალო საფეხურზე დამატებით გამოყოფილია სვეტი „მაგალითები შედარებისთვის“, რაც აანალიზებს მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაშენების ლოგიკას. დაგეგმარებაში თვალსაჩინოა მოსწავლის ასაკსა და ინტერესებზე მორგებული, კონტექსტში ჩაშენებული დავალებები - დაწყებითზე, მაგალითად, I კლასში „რობოტი რობი მათემატიკის ჯადოსნური სამყაროდან“ და „გზავნილი რიცხვთა სამეფოდან“, ხოლო „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ ზღაპრის კონტექსტში 10-ის შესაკრებების შესწავლა; VI კლასში პროექტი „ოქროს კვეთა“. საბაზო და

	საშუალო საფეხურზე დავალებები რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტს უკავშირდება - VII კლასში „პაროლის შექმნა და გამოცნობა“ და „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“, VIII კლასში „მცირე ბიზნეს იდეა - საოჯახო ბიზნესი“, „განძის რუკა“ და „მარათონი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის გეოგრაფიული მდებარეობა - საზღვრისპირა სოფელი - უშუალოდ აისახა მათემატიკის კურიკულუმის შემოქმედებით დავალებებში. IX კლასში მსგავსების ნიშნებისა და პროპორციული მონაკვეთების შესწავლისას მოსწავლეებმა მსგავსი სამკუთხედების მეთოდით გაზომეს საზღვარს იქით მდებარე, ფიზიკურად მიუწვდომელი ობიექტის ზომა. ეს ცხადყოფს, რომ კურიკულუმი არ ეფუძნება ზოგად შაბლონს, არამედ მორგებულია სკოლის უშუალო კონტექსტსა და თემის რეალობაზე. დასტურდება, რომ პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას პედაგოგის ფასილიტაციით. **რჩევა: რეკომენდებულია სკოლამ შეინარჩუნოს დაწყებითი საფეხურის შემოქმედებითი დავალებების არსებული მრავალფეროვნება და მსგავსი სიხშირით გაამდიდროს საბაზო (განსაკუთრებით IX) და საშუალო საფეხურის დავალებების ნუსხა.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და საფეხურეობრივი სტანდარტის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანას. საბაზო და საშუალო საფეხურისთვის გაიცა არასავალდებულო ხასიათის რჩევა, რომლის გათვალისწინებაც გადაწყვიტეს პედაგოგებმა სამომავლოდ. **რჩვა: სამომავლოდ სასურველი იქნება, რომ საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებში, თეორიული მიმართულებით თემა, ოლიმპიზმის გარდა იყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპებიდანაც.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის

	მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, შემოქმედებითი დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, ოთხი საგნის(მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების აგება.ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ კათედრას ჰქონდეს არჩეული თანამშრომლობითი კულტურით კურიკულუმის ფორმა. იყოს თემების შესაბამისობა, საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული ბუნებისმეტყველების დაწყებითი I-VI კლასები, ასევე საბაზო (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) და საშუალო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საფეხურებზე კურიკულუმები დაგეგმილია ე.ს.გ.-ის სტანდარტის გათვალისწინებით, თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის შედეგები და სამიზნე ცნებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების **მესამე და მეოთხე** კლასში თემები დაგეგმილია სასწავლო სახელმძღვანელოს მიხედვით, უნდა იყოს დაგეგმილი ესგ -ის სტანდარტის სავალდებულო თემების ჩამონათვალიდან. შესაბამისი კლასების კურიკულუმები საჭიროებს თემების ჩასწორებას, რასაც ქვემოთ რჩევაში გავწერ. ხოლო მეოთხე კლასში საერთოდ თემების სვეტში სამიზნე ცნებებია ჩაწერილი. რაც შეეხება საშუალო საფეხურის მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმში სამიზნე ცნებების და თემების დასახელებებია ადგილმონაცვლეობაში და სვეტების სათაურების გადანაცვლებაა საჭირო). ვთვლი, რომ ტექნიკური შეცდომაა. სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელიც გაწერილია ყველა საგნის, კურიკულუმში და ასევე დადასტურდა ინტერვიუს დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას. **რჩევა: სასურველია მასწავლებელმა ბუნებისმეტყველების საშუალო საფეხურზე მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმში მოახდინოს სვეტების გადანაცვლება (ადგილები შეუცვალოს სამიზნეების და თემების სვეტების სათაურებს).** **სასურველია, დაწყებით საფეხურზე მესამე და მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელმა თემების შერჩევისას იხელმძღვანელოს ესგ -ის სტანდარტის სავალდებულო თემების ჩამონათვალიდან.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან პირდაპირი კავშირი, საბოლოო მიზანთან შესაბამისობა და სამიზნე ცნებების გააზრება. კურიკულუმი

	ასახავს ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებს, შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური და ტრანსფერული უნარების განვითარებას. შუალედური მიზნები შერჩეულია სამიზნე ცნებების შესაბამისად. **რჩევა: გასათვალისწინებელია, რომ შემოქმედებითი დავალების იდეა იყოს კონკრეტული. („ჩვენი საქართველო“, V კლასი, „ისტორია“ მე-7, მე-9, მე-10 კლასი, „საქართველოს ისტორია“, მე-10 კლასი), უმჯობესია, დავალება უფრო კონკრეტულად ფორმულირდეს. მაგალითად, „საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა იმერეთის ღირსშესანიშნაობების შესახებ“.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გასაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული, რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ხდება შუალედური მიზნების კომპლექსური ტიპის, შემოქმედებითი დავალებებით დამუშავება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად თავსებადია ესგ-ეს მიზნებსა და პროირიტეტებთან, თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, აგრეთვე, აქვთ მზაობა, რომ ყველა სამიზნე ცნება,

	მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას და საბოლოოდ დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. **რჩევა: საბაზო საფეხურზე VII-VIII კლასების კურიკულუმის ჩარჩოების გრაფები სასურველია სათანადოდ იყოს შევსებული, კერძოდ, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ძირითადი ტექსტები და კონტექსტმაგალითები. ამასთანავე, საკითხი სათანადოდ იყოს ფორმულირებული. სრულყოფილად დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმების თემატიკა და ტერმინოლოგია შეესაბამება ესგ-ის სტანდარტს და თემთა ჩამონათვალი ლოგიკურად ფარავს თითოეული კლასის შინაარსს (დაწყებითზე - რიცხვები, შეკრება-გამოკლება, გეომეტრიული ფიგურები, მონაცემთა ანალიზი; საბაზოზე - რაციონალური რიცხვები, წრფივ განტოლებათა სისტემები, პითაგორას თეორემა, სტატისტიკა და ალბათობა; საშუალოზე - სიმრავლეები, ტრიგონომეტრია, სტერეომეტრია, ვექტორები, კომბინატორიკა). მიზნის, აქტივობისა და შედეგის კავშირი დაწყებით საფეხურზე მკაფიოდ იკითხება, საბაზო და საშუალო საფეხურზე კი ეს კავშირი შედარებით სუსტდება აქტივობების სიმცირის გამო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან საფეხურების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები, მათთან

	დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უყალიბდება კრიტიკული აზროვნება. პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას სჭირდება შემოქმედებითობა, გუნდურობა. ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებთან ინტერვიუ, სადაც საუბრობს ფორმალურ თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ ასევე დამაატებით დოკუმენტაციად წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები. გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. თემების შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა საქმიზნე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის სტადარტის მიხედვით განსაზღვრული თემები სრულად არაა წარმოდგენილი და ამიტომ შესაბამისი საკითხები გადანაწილებულია წარმოდგენილ თემებში. **რჩევა: ბუნებისმეტყველების საგნის მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმის შედგენისას, სასურველია, სრულად გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში**

	სათანადოდ აისახოს და დამუშავდეს თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები გაწერილია კურიკულუმებში, თუმცა სასურველია საბაზო საფეხურზე: ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმში, ქიმიის მე-8 კლასის, ხოლო საუალო საფეხურის ფიზიკის მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმებში უფრო მეტი ელექტრონული რესურსი იყოს დაგეგმილი, რაც უკეთესად უზრუნველყოფს მოსწავლის კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასების, ქიმიის მე-8 კლასის, საშუალო საფეხურის ფიზიკის მე-11 და მე-12 კლასების ფიზიკის კურიკულუმში იყოს დაგეგმილი უფრო მეტი ელექტრონული რესურსები, რათა სწავლა/ სწავლების პროცესი განხორციელდეს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ყველა საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული, მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რომელიც ხელს უწყობს ჩართულობაზე ორიენტირებული

	სასწავლო პროცესის განხორციელებას, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად წარმართვას. **რჩევა: უმჯობესია, მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში.** **ძირითად სასწავლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოს პარაგრაფები, უმჯობესია გვერდების მითითებაც („მოქალაქეობა“ მე-10 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-10, მე-11, მე-12 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8, მე-10 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-10, მე-11 კლასი).** **დამატებითი ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს მიზანშეწონილია, მიეთითოს შესაბამისი ბმული. (,,გეოგრაფია“, მე-8 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-9 კლასი). ინტერნეტრესურსების მითითების დროს გასათვალისწინებელია, რომ ეწეროს რესურსის სახელწოდება ან გაკეთდეს ჰიპერბმული, რათა უფრო მოსახერხებელი იყოს მასზე დაწკაპუნებით ბმულის გახსნა.** **როცა რესურსად გამოყენებულია ტელესკოლის გაკვეთილი, სასურველია მიეთითოს კონკრეტული გაკვეთილის ბმული და არა ზოგადად ტელესკოლის გვერდი (,,ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-8 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8 კლასი, ,,საქართველოს ისტორია“, მე-10 კლასი)** **შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს გარკვეულ პროდუქტზე მუშაობას, როგორიც არის სტატია, დღიური, მოხსენება, პრეზენტაცია, სლაიდშოუ, ვიდეორგოლი და ა. შ, მაგრამ უმეტესად არ არის მითითებული მეთოდური რესურსი, რომლის საშუალებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა. დამატებით რესურსებში სასურველია მიეთითოს ბმული, მაგალითად, როგორ შექმნას ბუკლეტი, როგორ დაწეროს არგუმენტირებული ესე და ა. შ. (,,მე და საზოგადოება“, მე-4 კლასი, ,,ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-7, მე-8 კლასი, ,,ისტორია“, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასი, ,,საქართველოს ისტორია“, მე-10, მე-11 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-7, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასი).** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული პლატფორმები და აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. რესურსების გამოყენება თანხვედრაშია შეფასების კრიტერიუმებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის რეალურ მონიტორინგს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა/კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (სამუშაო რვეული, ელექტრონული რესურსები). **რჩევა: საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა. სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე. სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე. სასურველია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა. სასურველია, შეძლებისდაგვარად მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში, ღია ცის ქვეშ - რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **რჩევა: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია განსაკუთრებით დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	ძირითად რესურსად სამივე საფეხურზე გამოყენებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები (I კლასი - კელერი/პფაფი, ელფი; III - ბერიშვილი/სულაკაური; IV - ჯაფარიძე/წულაია/წილოსანი, სულაკაური; V–VI - ბექაური/საგინაშვილი; XI–XII - ვეფხვაძე/გოგიშვილი/მებონია/ქურჩიშვილი, ინტელექტი). რესურსების დეტალიზაცია არათანაბარია საფეხურების მიხედვით: დაწყებით საფეხურზე რესურსების სვეტი ძალიან კარგადაა შევსებული. მითითებულია მოსწავლის წიგნისა და რვეულის კონკრეტული გვერდები და ელექტრონული ბმულები; საბაზო საფეხურზე კი სვეტი ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ჩანაწერით „მე-X კლასის სახელმძღვანელო“, კონკრეტული გვერდის ან ბმულის გარეშე; საშუალო საფეხურზე რესურსი თავის/პარაგრაფის დონეზეა მითითებული (მაგ. „თავი I, §1.1–1.5, გვ. 7–21“). ცალკე აღსანიშნავია, რომ დაწყებითი საფეხურის ელექტრონული ბმულების ნაწილი მოკლე-ბმულით (clck.ru) არის ჩასმული, რომელთა მდგრადობა გარკვეული პერიოდის შემდეგ არ არის გარანტირებული. **რჩევა: რეკომენდებულია საბაზო საფეხურის რესურსების სვეტი დაწყებითის ანალოგიურად დაიხვეწოს - სახელმძღვანელოს დასახელებას მიეთითოს კონკრეტული გვერდი/თავი და სადაც ციფრულ რესურსზეა საუბარი (GeoGebra, Desmos, ხანის აკადემია), დაერთოს კონკრეტული საკითხის შესაბამისი მდგრადი URL ან ვიდეო-გაკვეთილის სათაური. დაწყებითზე სასურველია მოკლე-ბმულები (clck.ru) ჩანაცვლდეს პირველწყაროს სრული მისამართებით, რათა დოკუმენტში ჩასმულმა ბმულებმა ხანგრძლივად იმუშაონ.**

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს კურიკულუმში შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით - შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფირებულ მასწავლებლის წიგნებს: დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით (საბაზო და საშუალო საფეხურისთვის), მასწავლებლის წიგნს - დაწყებითი საფეხურისათვის; ასევე პრეზენტაციებს თეორიული სწავლების მიმართულებით სხვადასხვა თემაზე; ხოლო დამხმარე ელექტრონულ რესურსად, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებისა და ვარჯიშების ტექნიკის შესახებ, წარმოდგენილია ვიდეორგოლები სხვადსხვა ღია ინტერნეტ წყაროებიდან . საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული რესურსები Scratch.mit.edu (ანიმაციებისა და თამაშების შექმნისთვის), Code.org (მარტივი თამაშებისა და ანიმაციების შესაქმნელად), „ვსწავლობთ თამაშით“; 3D Paint; და სხვა. რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსებს, **რჩევა: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, სასურველია დაწყებით საფეხურზე რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმების და მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მოსწავლეს აქვს მოქნილი სასწავლო გარემო. დაგეგმილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩავთვალოთ,რომ დავალებების კომპლექსური ბუნება და შესაქმნელი პროდუქტის მრავალფეროვნება, აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. (მაგ, პრეზენტაცია, მოდელი, პოსტერი და სხვა). კურიკულუმში გაწერილი გეგმის ფარგლებში არსებული რესურსები სწორადაა დაგეგმილი და ეხმარება მოსწავლეს საგნობრივი სტანდარტის შწდეგებზე გასვლაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული მიდგომების მაგალითებზეც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. კურიკულუმში მოცემულია გარკვეული აქტივობები დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისთვის (მაგ. სხვადასხვა დავალებების შეთავაზება), წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესრულებული დავალებები შეფასების რუბრიკებით, რაც მოწმობს სკოლის მოსწავლეზე ორიენტირებული მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას. **რჩევა: სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დროის დიფერენცირება.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათლებას, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მიზნის შესაბამისადაა შერჩეული, რაც დაგეგმილის მიღწევას განაპირობებს. მრავალფეროვანი აქტივობები, ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებში ჩაშენებულია დიფერენცირებული სწავლების ხედვა - შემოქმედებითი დავალებები ღიაა და მოსწავლის სხვადასხვა შესაძლებლობაზე მორგების საშუალებას იძლევა (მაგ. დაწყებითზე ერთი და იმავე თემის გარშემო ვიზუალური, მანიპულატივებზე დაფუძნებული და აბსტრაქტული დონის დავალებები). სკოლაში ფუნქციონირებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი - იქმნება ისგ, მუშაობს ისგ ჯგუფი, ჩართულია მშობელი. **რჩევა: სასურველია კურიკულუმის რესურსების სვეტში ან ცალკე სვეტში სიმბოლურად მაინც აისახოს, რომელი დავალება შეიძლება მოდიფიცირდეს სსსმ ან მაღალმოტივირებული მოსწავლისთვის - ეს დიფერენცირების ხედვას დოკუმენტში თვალსაჩინოს გახდის** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

სპორტი	კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგებმაც აღნიშნეს საუბრისას , რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. სკოლის სსსმ მოსწავლე კი საგანში არ საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. პედაგოგების თქმით, რადგან სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ამიტომ მოსწავლეთა სურვილის და ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის წახალისებისა და სხვადსხვა სპორტის სახეობებში აქტიურად ჩართულობის მიზნით, ეწყობა თამაშები მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია შემოქმედებითი დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმები, დაწყებით საფეხურზე არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე .მათ აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით.

	მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება.გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე (ბუნებისმეტყველების დაწყებითი I-VI კლასები, გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების, ხოლო საბაზო (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) და საშუალო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საფეხურებზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოწოდებულია შეფასების ორივე ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუბრიკები ფარავს ესგ- ის სტანდარტით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ასახულია სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში, კერძოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში და ამის შესახებ ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუშიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას; მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე კი, სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. შემაჯამებელი დავალებები უმეტესად არის შემოქმედებითი, რაც ორივე საგნის სწავლებისას ხელს უწყობს, როგორც ცნებების და საკითხების უკეთ, გააზრებულად შექმნას ასევე ამ საგნების ერთ-ერთი ძირითადი მიწნის შემოქმედებისა და პრაქტიკის ერთობლივ დაუფლებას. ამგვარი დავალებების შეფასება მეტად გამჭვირვალე და ვალიდურია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზე, სასურველია გამოიკვეთოს მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები, უფრო მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებთან ერთად ექსპერტს გადმოეგზავნა ჯერ ზოგადი, შემდეგ კი თემების მიხედვით დაკონკრეტებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რაც მიუთითებს შეფასების სისტემის სტრუქტურულ არსებობაზე.

	გასაუბრებისას პედაგოგებმა აჩვენეს, რომ ესმით, როგორ მიუსადაგონ რუბრიკა კონკრეტული ტიპის დავალებას. **რჩევა: რეკომენდებულია რუბრიკები თანდათან შეივსოს ისე, რომ დაიფაროს კურიკულუმში გაწერილი ყველა შემოქმედებითი დავალება;** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები აფასებდეს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა. **რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა. მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების რეფლექსია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- საგნობრივ კათედრებზე განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც კარგად გამოჩნდა სკოლის მიერ გადმოგზავნილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში. კურიკულუმების გაანალიზებისას ჩანდა, რომ: დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმი, ჩატარებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები. ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებითაც. შეკითხვები გაჩნდა დაწყებით საფეხურზე მესამე და მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში, სადაც სავალდებულო თემები გაწერილია წიგნის ტემების შესაბამისად, უნდა იყოს დაგეგმილი ესგ -ის სტანდარტის სავალდებულო თემების შესაბამისად. დაგეგმილ კურიკულუმში სავალდებულო თემების ჩამონათვალში იყო წიგნის თემები და შესაბამისი საგნის მასწავლებელს ინტერვიუს დროს მიეცა რჩევა. **რჩევა: დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-4 კლასისბუნებისმეტყველების კურიკულუმში პედაგოგმა სასურეველია გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს, რაც ხელს შეუწყობს ესგ -ის სტანდართით დაგეგმილი სასწავლო მიზნების შესრულებას და სასწავლო პროცესის საგნის სტანდარტის მიხედვით წარმართვას.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. წარმოდგენილია, აგრეთვე, მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	სასწავლო პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდება კურიკულუმის მოდიფიცირება. სკოლაში ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, ურთიერთდაკვირვება, რაც პროცესს ხდის უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებულს. კათედრა არაფორმალურ განათლებას მოიაზრებს ფორმალურთან მჭიდრო კავშირში. გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ახორციელებენ პროექტებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად სამივე საფეხურზე, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. მასწავლებლები მიმართავენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს, იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და უნარებზე. დაგეგმვა მოიცავს თემატური ერთეულების ლოგიკურ თანმიმდევრობას და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემებისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. განხორციელებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები, სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდებოდა სასწავლო შემოქმედებითი პროექტები, დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე ტარდებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები სხვადასხვა თემაზე, საბაზო საფეხურზე, მე-7

	კლასში, ჩატარდა კვლევა ,,ჩვენ ვიკვლევთ რუსთაველის ცხოვრების გზას'', აგრეთვე, განხორციელდა პროექტი ,,მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა''. მე-8 კლასში პროექტი: „ასე უყვარდათ საქართველოში...“ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი სამივე საფეხურზე კარგად ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. ასევე, გასაუბრებისას აღნიშნეს რომ საბაზო და სა შუალო საფეხურზე ხშირად ცვლიან თემათა თანმიმდევრობას თუმცა კურიკულუმებში შესაძლოა ეს ცვლილება არ აისახოს, გამორჩეთ. **რჩევა: საბაზო საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგების დახმარებით, გარდა კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში მოწყობილი სასკოლო აქტივობებისა, როგორიცაა შიდასასკოლო ფესტივალები (მაგალითად „მხიარული სტარტები“ და ფესტივალი კურიკულუმით გათვალისწინებული სპორტის სახეობების მიხედვით), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში სპორტის სხადასხვა სახეობებში, მაგალითად მაგიდის ჩოგბურთსა და მინი ფეხბურთში და აქვთ გარკვეული წარმატებებიც. სკოლის მცირე კონტინგენტიანობის გამო, სპორტის ბევრს სახეობაში აქტიურად ჩართულობის მიზნით, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგის ინიციატივით, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში მონაწილეობენ მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებთან ერთად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებები, გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და განხორციელებისას ეყრდნობა სამიზნე ცნებებს, სასწავლო მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების სახით. ეს ყოველივე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით - დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლების პროცესი ნათლად აღწერეს მასწავლებლებმა . **რჩევა: სკოლას მივეცი რჩევა სასწვლო წლის დასასრულ განახორციელონ კურიკულუმების რევიზია, გაითვალისწინონ ექსპერტის რჩევები და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმის განვითარება განიხილება როგორც უწყვეტი და საჭიროებებზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების, გარემო პირობებისა და საგანმანათლებლო გამოწვევების შესაბამისად ცვლილებების განხორციელებას. დოკუმენტის მუხლი 5 განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების პროცესში ინფორმაციის შეგროვების, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს, რაც ქმნის საფუძველს სკოლის დროული და ადეკვატური რეაგირებისათვის.

ამასთან, მეთოდოლოგიის მუხლი 7 ითვალისწინებს კურიკულუმის განხორციელების პროცესის შეფასებას, უკუკავშირის მიღებასა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დაგეგმვასა და დანერგვას, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობასა და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.
ასევე, მუხლი 9 განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომელთა საფუძველზეც სკოლა აანალიზებს არსებულ მდგომარეობას, ადგენს ახალ საჭიროებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ადაპტირებას სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და მიმდინარე გამოწვევებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში დანერგილია კურიკულუმის განვითარების ისეთი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე საჭიროებების იდენტიფიცირებას, მათი ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებასა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. აღნიშნული ქმნის საფუძველს, რომ სკოლამ მოქნილად და ეფექტიანად უპასუხოს როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) უზრუნველყოფს გამჭვირვალეობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს,რაც ასახულია სამივე საფეხურზე გადმოგზავნილ და შემდგომში მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტაციაში. იყო ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკაც და ინტერვიუს დროს მოხდა დაკონკრეტება, ამ რუბრიკის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე კონკრეტული აქტივობების შესაბამისი რუბრიკები გადმოგზავნილი იყო დამატებით დოკუმენტებშიც, რაზეც ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები მოსწავლეებისთვის ცნობილია და შესაბამისად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი.

	მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს სწავლის პროცესში აძლევს ინფორმაციას მოსწავლის წინსვლის შესახებ, ხოლო მოსწავლეს - საკუთარი სწავლის შესახებ ფიქრის და მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება ცნებებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით, აგრეთვე დიაგნოსტიკური და წლიური შეფასების პროცედურების წინასწარ განსაზღვრით. **რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურზე მეტი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა, სადაც პრაქტიკული ნაწილი არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს თეორიულ ცოდნასთან მიმართებაში.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა ჯერ ზოგადი, შემდეგ თემაზე მიბმული შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რითაც გამოჩნდა მცდელობა, რომ შეფასება იყოს ვალიდური და ობიექტური. **რჩევა: სასურველია რუბრიკების სრული ნუსხის თანდათან დაკომპლექტება კურიკულუმის თითოეული შემოქმედებითი დავალების შესაბამისად.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას შექმნილი კურიკულუმით გაწერილი თემის მიხედვით. შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციით მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია“ ადგენს შეფასების პროცესის სანდოობისა და მიღებული შედეგების გადამოწმების სისტემურ მექანიზმებს. დოკუმენტის თავი 2.3 განსაზღვრავს ვერიფიკაციის პროცესის ძირითად მიმართულებებს, მათ შორის შეფასების შედეგების შესაბამისობის დადგენას, გამოყენებული ინსტრუმენტების გადამოწმებასა და მიღებული დასკვნების სარწმუნოობის შეფასებას.
ამასთან, მუხლი 5 ადგენს შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს და განსაზღვრავს, რომ შეფასების შედეგები ექვემდებარება დამატებით ანალიზსა და შემოწმებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ობიექტურობა და გამოყენებადობა.
დამატებით, შეფასების პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლაში მოქმედებს „დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი“, რომლის მუხლი 5 არეგულირებს გამოყენებული ინსტრუმენტებისა და რესურსების შესაბამისობის დადგენას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, მიღებული შედეგების გადამოწმებასა და გადაწყვეტილებების ხარისხის კონტროლს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

„სასკოლო სასწავლო გეგმის“ ნაწილში „მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა“ განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი ტიპის დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;

- კათედრის წევრების მიერ ურთიერთდასწრების რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პირადი საქმეები;
- ელექტრონული ჟურნალი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმების, ასევე სკოლის ლაბორატორიის დათვალიერების დროს გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესის დროს გამოიყენება სხვადასხვა რესურსები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული. ძირითადად გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები და მეტ- ნაკლებად უზრუნველყოფილი სასწავლო მატერიალური რესურსი. კურიკულუმებში გაწერილია ელექტრონული რესურსები, თუმცა ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასების, ქიმიის მე-8, ასევე ფიზიკის მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმში ნაკლებადაა ელექტრონული რესურსები და რჩევაშიც გავწერ. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საკლასო ოთახებთან არსებული ცალკე გამოყოფილი სივრცე, რომელშიც განთავსებულია სასწავლო რესურსები, რომელიც ასახულია საგნის კურიკულუმებში. ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები მუშა მდგომარეობაშია, თუმცა ძალიან მარტივი ცდების ჩასატარებლად შეიძლება გამოიყენებოდეს. ლაბორატორიის დისტანციური დათვალიერების დროს ჩანდა, მოსწავლეთა ხელით შექმნილი სასწავლი რესურსები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, ბანერები. მოსწავლეტა ხელით შექმნილი რესურსებიც, რაც თემის

	შესწავლისას შედეგზე ორიენტირებაზეა გათვლილი. სასურველია სკოლაში იყოს უფრო გაახლებული ფიზიკის ლაბორატორია, რომელიც აუცილებელია თემების შესასწავლად და საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვას შეუწყობდა ხელს. ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესები გამოკრულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილზე, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. **რჩევა: სასურველია ბიოლოგიის მე-7 და მე-9 კლასების, ქიმიის მე-8, ასევე ფიზიკის მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმში მასწავლებელმა უფრო მეტი ელექტრონული რესურსი გამოიყენოს, იმისთვის, რომ სკოლაში მატერიალური რესურსების (განსაკუთრებით ფიზიკაში) მცირე რაოდენობა სწავლების პროცესში ნაწილობრივ ჩაანაცვლოს ელექტრონულმა რესურსებმა, რაც განაპირობებს სწავლის ხარისხის ამაღლებას. მასწავლებელმა, შესაბამისად, ამ კურიკულუმებშიც გაწეროს ელექტრონული რესურსები. რესურსების მრავალფეროვნება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და ესგ-ის სტანდარტის შედეგებზე გასვლას შეუწყობს ხელს.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, ფოტომასალა, პლაკატები), უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა, რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

	რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლება ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. **რჩევა: სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე. მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები (ხელოვნების საგნის სწავლებისათვის და აღჭურვოს არა მარტო ბიბლიოთეკა, არამედ იზრუნოს ხელოვნების ოთახის ლიტერატურით მომარაგებაზე), რათა მოსწავლეებმა პოლიგრაფიულად ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **რჩევა: დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, უზრუნველყოთ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე ციფრული რესურსები (GeoGebra, Desmos, ხანის აკადემია). გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები - GeoGebra და Desmos გრაფიკების ასაგებად, რაც ადასტურებს რესურსების რეალურ გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	კურიკულუმის რესურსების ნაწილი მოწმობს და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს. კერძოდ: მატერიალურ რესურსს- არსებული .ინფრასტრუქტურა და სპორტულ ინვენტარი;

	ძირითად საგანმანათლებლო რესურსს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის წიგნი და მასწავლებლის გზამკვლევი სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურისათვის, ასევე პრეზენტაციებს თეორიული სწავლებისათვის; სწორად შერჩეულ დამხმარე ელექტრონულ რესურსს - ვიდეორგოლები სპორტის სხვადსხვა სახეობის ტექნიკის სწავლებით. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათ გაყვანას კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ფორმაში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები (Scratch.mit.edu, Code.org, 3D Paint, "ვსწავლობთ თამაშით" და ა.შ). სკოლაში კომპიუტერებთან ერთად მოსწავლეებს შეუფერხებლად მიეწოდებათ ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების აქტიურ გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებულ დოკუმენტაციაში ჩანს, მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი, რაზეც ისაუბრეს პედაგოგებმა ინტერვიუს დროს. მობილიზებიული აქვთ მცირე

	მატერიალური რესურსის სახით, (მაგალითად: ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ოთახებში განთავსებული რესურსები, ბანერები, მოსწავლეთა ნაშრომები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, რომლებსაც მოსწავლეები წარადგენენ პედაგოგებთან, ხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკით. არსებული რესურსები თავმოყრილია სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ოთახებში, რაზეც ინტერვიუს დროსაც ისაუბრე და ასევე ჩანდა დისტანციურად სკოლის დათვალიერების დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებულია ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროება. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ხარისხის ამაღლებასა და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, ასევე, სკოლა იყენებს მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირს რესურსების ეფექტურობის შესაფასებლად. აქტივობები, დავალებები და

	რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	დოკუმენტებში არ ჩანს, რა მექანიზმით შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა პედაგოგების შერჩეული და კურიკულუმში შეტანილი რესურსები გადამოწმდა საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **რჩევა: რეკომენდებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში ან ცალკე მოკლე დოკუმენტში აღიწეროს, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა/ვალიდაცია ხდება კათედრაზე გუნდური განხილვის გზით.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. დაწყებით საფეხურის კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. გასაუბრებისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში იყენებს სხვადასხვა დამხმარე რესურსს რასაც ადასტურებს კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფერივანი დამხმარე სერურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის პროცესში (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების) გაკვეთილებზე სკოლაში არსებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლებისთვის სამივე საფეხურისთვის, რაც გამოიკვეთა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დათვალიერების, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დათვალიერების დროს გამოჩნდა, რომ სკოლას აქვს მწირი მატერიალური რესურსი, რომლებიც მარტივი ცდებისთვის და ექსპერიმენტებისთვის გამოიყენება. ლაბორატორიით სარგებლობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგნებს შეუძლიათ შეუფერხებლად, ცხრილი დაგეგმილია ისეთნაირად, რომ გათვალისწინებულია კაბინეტში შემავალი კონკრეტული საგნის გაკვეთილი და არ ხდება საბუნებისმეტყველო საგნების თანაკვეთა. თითოეული საგნის შესასწავლად არსებული რესურსები ცალ-ცალკე განლაგებულია კარადების მიხედვით, სკოლას აქვს რესურსები განლაგებული ოთახებში, რომელიც გასაღებებით იკეტება, ასევე გასაღებით იკეტება ქიმიის რესურსების კარადა, სადაც ცდებისთვის საჭირო რეაგენტებია განთავსებული. სკოლას ლაბორატორიაში აქვს საერთო ვენტილაცია მუშა მდგომარეობაში, ასევე აქვს ხელსაბანი, თუმცა სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახში არ არის ცეხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა და გამწოვი კარადა. არც შესაბამისობის გეგმაში არ აქვთ გაწერილი გამწოვი კარადისა და ცეხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის დამონტაჟება.

	რჩევა: სასურველია სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაამდიდროს მატერიალური რესურსებით, რადგან რესურსების მრავალფეროვნება ხელს შეუწყობს სწავლა/სწავლების პროცესის უკეთ წარმართვას ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა ხარვეზი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ აქვს დამონტაჟებული გამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა, რომლებიც საშუალებას მისცემს სკოლას, მოსწავლეთათვის უსაფრთხოდ ჩაატაროს ნებისმიერი ცდა თუ ექსპერიმენტი. აღნიშნული ხარვეზი არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გაიტანა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომელსაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის შეძენა/დამზადება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 ივლისისა, ხოლო ლაბორატორიისთვის გამწოვი კარადის (ან გამწოვი მოწყობილობის) შესყიდვა და დამონტაჟება - შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, არაუგვიანეს 2027 წლის 1 მაისისა.** **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგებს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა

	რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არის თანამედროვე ინვენტარი, რათა ესთეტიკის მიმართულებით მოსწავლეებმა შეძლონ ელექტრონული, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. **რჩევა: სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრზე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე.** **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებსა და დავალების ბარათებში ჩანს, რომ ნაწილი აქტივობა მოითხოვს კონკრეტულ მასალას ან ტექნიკას (ტრანსპორტირი, სახაზავი, გეომეტრიული მანიპულატივები, კომპიუტერი/პროექტორი). პედაგოგების თქმით, სკოლა ამ რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ეზოს ტერიტორიაზე აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი, რომლის პარალელურად, ეზოს მოსწორებულ და რეგულარულად მოთიბულ მწვანე საფარზე დამონტაჟებულია ფრენბურთის ბადის სპეციალური სამაგრი, რასაც სკოლა დამატებით ფრენბურთის მოედნად იყენებს.

	უამინდობის პერიოდში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, შენობაში სპეციალურად არის გამოყოფილი და შესაბამისად აღჭურვილი ოთახი, რომელიც სპორტის კაბინეტის ფუნქციას ასრულებს. გარდა ამისა, სკოლის შიდა სივრცე (დერეფანი) სპორტული აქტივობებისთვის არის ათვისებული (განთავსებულია მაგიდის ტენისის სათამაშო ინვენტარი). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება ტექნოლოგიების ლაბორატორიაში. სკოლა ფლობს საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, რაც აადვილებს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას მოსწავლეებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში არის 21 მასწავლებელი, მათ შორის 12 არის წამყვანი მასწავლებელი, 9 კი უფროსი. ასევე, სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური კადრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ხარისხიან წარმართვას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინვენტარიზაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს კურიკულუმის განხორციელების შეფასებისა და განვითარების პრინციპებს. მუხლი 5 ადგენს შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმის შესრულების შეფასებას განსაზღვრული მიდგომების საფუძველზე. ამასთან, შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის მუხლი 7.1 განსაზღვრავს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების ეტაპებსა და მონიტორინგის ციკლურობას. შეფასება ხორციელდება როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე და ეფუძნება განსაზღვრულ ინდიკატორებსა და ინსტრუმენტებს.

დამატებით, სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მიღებული შედეგების გადამოწმებასა და მათი შესაბამისობის დადგენას განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება კურიკულუმითა და შიდა შეფასების დოკუმენტებით განსაზღვრული მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად და უზრუნველყოფს შედეგების სისტემურ ანალიზს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული მდგომარეობის აღწერით, არამედ ორიენტირებულია გამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაზე. მუხლი 7.1 განსაზღვრავს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების პროცესს როგორც სისტემურ საქმიანობას, რომელიც მოიცავს როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპების შეფასებას.

ამასთან, მუხლი 7.2 ადგენს შეფასების შედეგების ანალიზის, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, მიზეზების კვლევისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესს, რაც ქმნის პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების განსაზღვრის საფუძველს.

გარდა ამისა, სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მიღებული შედეგების გადამოწმებასა და დასკვნების სარწმუნოობის შეფასებას, რაც უზრუნველყოფს, რომ შემდგომი გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს სანდო მონაცემებსა და მტკიცებულებებს.

ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და საჭირო ცვლილებების დაგეგმვის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ორიენტირებულია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის შეფასებაზე, არამედ პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენაზე, მათი გადაჭრის გზების განსაზღვრასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაზე. მიღებული შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად და სკოლის საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში დანერგილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა მიმართულია სასკოლო საზოგადოების წევრების, მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის, საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამის მხარდაჭერაზე. „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 9 განსაზღვრავს მხარდამჭერი სერვისების შეფასების მექანიზმს და ადგენს რეაგირების პროცედურებს გამოვლენილ საჭიროებებზე.
ამასთან, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 5 ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობას უკუკავშირის, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და განვითარების პროცესში, რაც ქმნის მხარდაჭერის ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ საფუძველს.
დამატებით, სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების შედეგების ანალიზს და მათი გამოყენების შესაძლებლობას სასკოლო პროცესების გაუმჯობესებისათვის, რაც საბოლოოდ ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და უკეთესი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.
ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმები ორიენტირებულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მონაწილეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, მათი საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფას. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ისე მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირის ნიმუში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას. დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას და მიუთითებს, რომ შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფის უკუკავშირი, დოკუმენტაცია, სტატისტიკური მონაცემები და სასწავლო შედეგები.
ამასთან, მუხლი 7.2 ადგენს, რომ სასკოლო-სასწავლო გეგმის არაპირდაპირი შეფასებისას გამოიყენება დაინტერესებული მხარეების, მოსწავლეების, კურსდამთავრებულებისა და სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის, გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი.
გარდა ამისა, შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ განსაზღვრულია საგნობრივი მიღწევების ანალიზი, შიდა სასკოლო შეფასებების შედეგები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ხარისხი და კურსდამთავრებულთა ეროვნული გამოცდების შედეგების კვლევა.
ასევე, საშუალო საფეხურის კურიკულუმი განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შეფასებისათვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში, ხოლო საგნობრივი კათედრები ახორციელებენ სასწავლო შედეგების პერიოდულ ანალიზს, რაც დამატებით აძლიერებს შეფასებას მრავალფეროვან წყაროზე დაყრდნობით.
დამატებით, „სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების შედარებითი ანალიზისა და გადამოწმების აუცილებლობას, ხოლო ვერიფიკაციის მექანიზმები ითვალისწინებს მონაცემთა სანდოობისა და გამოყენებული მტკიცებულებების შესაბამისობის დადგენას. ასევე, „დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი“ არეგულირებს შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და რესურსების შესაბამისობის შეფასებას, რაც დამატებით უზრუნველყოფს მრავალწყაროიანი შეფასების სანდოობას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის საგნობრივ მიღწევებს, შიდა და გარე შეფასების შედეგებს, გამოკითხვებს, ინტერვიუებს, დოკუმენტაციის ანალიზსა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირს. შეფასების პროცესში გამოყენებული მონაცემები გადის ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ობიექტურობას, სანდოობასა და სიღრმისეულ ანალიზს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

„შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრულია, რომ შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის, ისე რესურსების, სასკოლო გარემოს, მართვისა და მხარდამჭერი სერვისების შეფასებას. დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინფორმირებულობის, რესურსების ხელმისაწვდომობის, მატერიალური გარემოსა და სასკოლო პროცესების შეფასებას.

ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, საგნობრივი სპეციფიკის, კლასისა და საფეხურის თავისებურებების გათვალისწინებას სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში. საგნობრივი შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც აკადემიური მიღწევები, ისე მოსწავლის პროგრესი, ჩართულობა, ფუნქციური უნარების განვითარება და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპეტენციები.

ამასთან, ვერიფიკაციის მექანიზმები განსაზღვრავს შეფასების პროცესში სხვადასხვა გარემოებისა და ფაქტორების შედარებით ანალიზს, ხოლო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ შეფასება განხორციელდეს მრავალმხრივი მონაცემებისა და კონტექსტების ურთიერთშედარების საფუძველზე.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალ კონტექსტზე დაფუძნებული მიდგომით და ითვალისწინებს სასწავლო პროცესის, საგნობრივი სპეციფიკის, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, სასკოლო გარემოსა და ინსტიტუციური განვითარების სხვადასხვა მიმართულებას. შეფასების პროცესში კონტექსტური ფაქტორები გადის დამატებით ვერიფიკაციას, რაც ზრდის შეფასების სიზუსტესა და ობიექტურობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, არაპირდაპირი შეფასებისას გამოიყენება შეფასების კითხვარები, ინტერვიუირება, გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

ამასთან, მუხლი 7.2 განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვისა და მიღებული შედეგების ანალიზის გამოყენებას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესში.

გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების გამოყენებას. მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ტესტირების, დაკვირვების, პროექტული დავალებების, პრეზენტაციების, პორტფოლიოების, კომპლექსური დავალებებისა და მოსწავლის პროგრესის ანალიზის საშუალებით.

ასევე, შიდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა შეფასების ინსტრუმენტებად განსაზღვრავს ინტერვიუს, შესაბამისი კითხვარებით გამოკითხვის ორგანიზებასა და დოკუმენტაციის შესწავლას.

დამატებით, „დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი“ არეგულირებს შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების შესაბამისობისა და ეფექტიანობის დადგენას, ხოლო ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს სხვადასხვა მეთოდით მიღებული მონაცემების ურთიერთშედარებასა და სანდოობის გადამოწმებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: გამოკითხვა, ინტერვიუ, კითხვარები, დაკვირვება, დოკუმენტაციის შესწავლა, საგნობრივი შეფასების ინსტრუმენტები, პროექტული და კომპლექსური დავალებები. გამოყენებული მეთოდები ექვემდებარება ვალიდაციასა და ვერიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სიღრმისეულობასა და სანდოობას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად განავითაროს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა, მათ შორის საგნობრივი შეფასებისა და უკუკავშირის თანამედროვე ფორმების დანერგვის მიმართულებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები აჩვენებს, რომ შეფასება ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსურ ანალიზს. „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, შეფასება მოიცავს სასწავლო შედეგების, რესურსების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, მატერიალური გარემოს, პერსონალის საქმიანობისა და სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების შეფასებას.

ამასთან, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების, ინდივიდუალური შესაძლებლობების, პროგრესის დინამიკის, საგნობრივი კომპეტენციების, სოციალური უნარებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის გათვალისწინებას შეფასების პროცესში.

გარდა ამისა, დოკუმენტები ითვალისწინებს საგნობრივი შედეგების ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ხარისხს, შეფასების ფორმების ეფექტიანობასა და სასწავლო რესურსების შესაბამისობას.

ასევე, სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია და ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებული ფაქტორები ეფუძნებოდეს გადამოწმებულ მონაცემებსა და სანდო მტკიცებულებებს, ხოლო დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი განსაზღვრავს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და რესურსების შესაბამისობის შეფასების პროცედურებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და მოიცავს როგორც აკადემიური და საგნობრივი შედეგების, ისე სასწავლო გარემოს, რესურსების, მოსწავლეთა პროგრესის, ადამიანური რესურსისა და ორგანიზაციული პროცესების შეფასებას. შეფასების პროცესში გამოყენებული ფაქტორები და მონაცემები გადის ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების მრავალმხრივობას, ობიექტურობასა და სანდოობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დამრიგებლის დებულება და სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის აღწერაზე, არამედ განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და რეკომენდაციების ფორმირებაზე. მუხლი 7.2 განსაზღვრავს, რომ

სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად ხდება ინფორმაციის ანალიზი, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის დამუშავება და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
ამასთან, „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ადგენს, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შეფასების შედეგების ანალიზს, საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას. მუხლი 5 (პუნქტები 1–3) ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას საჭიროებების იდენტიფიცირებასა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში.
გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სასწავლო პროცესის პერიოდული შეფასების, შედეგების განხილვისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მექანიზმებს, რაც ქმნის კურიკულუმის მხარდაჭერისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველს.
ასევე, ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ შემუშავებული რეკომენდაციები ეფუძნებოდეს სანდო და გადამოწმებულ მონაცემებს და გამოყენებული იყოს შემდგომი განვითარების პროცესში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც შეფასების, მონიტორინგისა და უკუკავშირის შედეგების საფუძველზე აყალიბებს რეკომენდაციებსა და განვითარების საჭიროებათა პაკეტს. აღნიშნული პროცესი ქმნის კურიკულუმის გაუმჯობესებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების ინსტიტუციურ საფუძველს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმის განვითარება განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც ეფუძნება განხორციელების შედეგების ანალიზსა და მიღებული გამოცდილების გამოყენებას. მუხლი 5 განსაზღვრავს შეფასების შედეგების საფუძველზე კურიკულუმის გადახედვისა და საჭირო ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას.
ამასთან, „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ მუხლი 7.1 და 7.2 ადგენს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების, მონაცემთა ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადების პროცესს, რაც გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისა და კურიკულუმის განახლებისათვის.
დამატებით, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო შედეგების ანალიზს, განხორციელებული აქტივობების შეფასებასა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე სასწავლო პროცესის მოდიფიცირებას.
ასევე, სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ ცვლილებები ეფუძნებოდეს არა მხოლოდ აღქმებს, არამედ გადამოწმებულ მტკიცებულებებსა და შეფასების შედეგებს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში კურიკულუმის გადამუშავება ეფუძნება

განხორციელების პრაქტიკულ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებსა და გამოვლენილ საჭიროებებს. მიღებული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის განახლებისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 03.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) _____

ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) _____

მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) _____

სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი) _____

ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი) _____

თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი) _____

ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი) _____

ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) _____

მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი) _____

ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) _____